# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№109-110 (10112-10113) 2026 წლის 17 აგვისტო, ორშაბათი




## „ბედნიერი ერი“ გაივსო ქოსატყუილა მოღალატეებით!



## ხელისუფლების საყურადღებოდ!



2



8

## პორტრეტი
ნიკოლოზ ბარათაშვილისა



5

## უფლის რჩეული თამარ ჩხარტიშვილი 100



3

## აფხაზეთის რეგიონი ახალი გეოპოლიტიკური თამაშის სივრცეში

ევროპის სტრატეგიული მახე:
## შავი ზღვის ომი და ახალი ევრაზიული წესრიგი

11



6

ელგუჯა მექმარიაშვილი —
## მეცნიერების, ინჟინერიისა და სამშობლოს სამსახურში

ქართული აქტიური ჟურნალისტიკა



9

## „კატასტროფა“...



10

## დონალდ ტრამპი: მალე ჰორმუზის სრუტეს ამერიკის ტერიტორიად გამოვაცხადებ!

„საიდუმლო მარშრუტი“, რომლის მეშვეობით რუსეთი და ირანი ერთმანეთს ეხმარებიან“

10



7

ომარ ქეშელაშვილი
## მეცნიერების ერთგულების 60 წელი




# კოკასა შიგან რაცა სდგას!

ადამიანს აქვს ერთი თანდაყოლილი თვისება: ყოველნაირად ცდილობს იმის კომპენსაციას, რაც აკლია. როდესაც კაცს პრინციპად გაუხდია ეძებოს დამნაშავე სხვაგან და არა თავის თავში, იგი ყოველთვის პოულობს ასეთ „დამნაშავეს“.

მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ისტორიაში ქექვა ერთაშორისი წინააღმდეგობების ან უკეთესობის დამტკიცების მიზნით. საქართველოს უმძიმესი ისტორია აქვს. გმირობის გვერდით მრავლადაა ღალატის, სულნამცეცობის მაგალითებიც. რას გვარგებს დღეს ამის გახსენება. ამ ბოლო დროს ავტორთა ერთი ნაწილი გატაცებულია ჩვენი ისტორიის იდეალიზაციით, მეორე ნაწილი კი – დაკნინებით, აქაოდა ყველაფერს გვიბეჭდავენო. ვერც ერთი სახელმწიფო ცენზურა წინ ვერ აღუდგება ადამიანს, თუკი მას მოშლილი აქვს თვითცენზურის მექანიზმი (ბოლო დღეების მაგალითი გავიხსენოთ გია ბარამიძის „მოგონების“ სახით, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ).

# „ბედნიერი ერი“ გაივსო ქოსატყუილა მოღალატეებით!

**„ჩვენ გამარჯვებისთვის ვართ დაბადებულები!“ – ასეთი იყო პატიმარ მიხეილ სააკაშვილის სიტყვის ბოლო ფრაზა, რომლითაც ენმ-ის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) საკმაოდ არაორდინალური ყრილობა გაიხსნა 5 აგვისტოს. პარტიის მოდერნიზაცია დიდი ხანია დააანონსა მიშამ და მის გასაძლიერებლად კანდიდატურაც მოძებნა „ბრწყინვალე“ ნანუკა ჟორჟოლიანის სახით, რომელიც პარტიის ახალი თავმჯდომარის მისეულ კანდიდატადაც გამოაცხადა მოგვიანებით.**

მაგრამ პარტიაში პოზიციის აშკარა გაძლიერების მიუხედავად, როგორც ჩანს, მისი სიტყვა მაინც არ არის საბოლოო და ამ შემთხვევაშიც გარკვეულად დაკორექტირდა. მოკლედ, გადაწყდა, 6 თვე პარტიას არ ეყოლება თავმჯდომარე და ამ ხნის განმავლობაში მმართველობას გასწევს დროებითი საბჭო ირაკლი ფავლენიშვილის ხელმძღვანელობით. საბჭოს შემადგენლობა რვაკაციანია (პეტრე ცისკარიშვილი, ანა წითლიძე, გიორგი ჩალაძე, ლაშა ფარულავა, გიორგი ბოტკოველი, ლევან ხეჟაშვილი და ირაკლი ნადირაძე, რომელიც 7-წლიან სასჯელს იხდის 4 ოქტომბრის საქმეზე).

მეცხრემ, ყოფილმა თვმჯდომარემ თინა ბოკუჩავამ უარი თქვა ახალ პოზიციაზე და პარტიის პოლიტსაბჭოს რიგით წევრად დარჩენა ამჯობინა. რაც შეეხება ნანუკა ჟორჟოლიანს, როგორც ლევან ხეჟაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის ჯერ არ არის პარტიის წევრი, არ იღებს მონაწილეობას არც პარტიის მმართველობით ორგანოებში. კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის მიღმა შეიქმნას **„რეფორმების საბჭო“,** რომელიც არაპარტიული შემადგენლობით შეიმუშავებს პარტიის რეფორმირების სტრატეგიულ დოკუმენტს. აი, სწორედ ამ რეფორმატორთა საბჭოს აღმასრულებელ მდივნად გამოაცხადა მიშამ ნანუკა ჟორჟოლიანი, რომელიც მისივე თქმით, „ენერგიის სისავსით“ თავის თავს აგონებს მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე. ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც არის მათ შორის მსგავსება შლეგობისა და შლუობის თვალსაზრისით... ოღონდ, როგორ გაზრდიან ამით ელექტორატს, ძნელი სათქმელია.

**საყურადღებო ნიუანსები ყრილობიდან: ახალი საბჭოს წევრს გიორგი ჩალაძეს დარბაზში წინა რიგში გვერდს უმშვენებდა წითელ სამოსში გამოწყობილი „დედა-დედოფალი“ გიული ალასანია, რომელიც, თუ შევამჩნევდით, ძალიან დისტანცირებულია ე. წ. პატიმართა დედების ლეგიონისგან, რომელიც ნანუკა ჟორჟოლიანის ძირითადი დამკვრელი ძალაა.**

საბჭოში ვერ მოხვდა ნაცმოძრაობის დამსახურებული ქალბატონი ხატია დეკანოიძე, ვერც ლევან ხაბეიშვილი, რომელსაც ბოლო დროს სააკაშვილი თავის პოსტებში „ხელმარჯვნივ ისვამდა“. პატიმრობაში მყოფთაგან მის ნაცვლად (რაც უფრო მოსალოდნელი იყო) ირაკლი ნადირაძე აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყრილობის მისასალმებელ მოკლე სიტყვაში ბელადმა მოიცალა და ხაზგასმით ისაუბრა შიდა განხეთქილების მოსურნეთა ქვენა ზრახვებზე.

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა:

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ ცვლილებები სააკაშვილმა 10 ივნისს დააანონსა: ნანუკას ჩემი სრული ნდობა და მანდატი აქვს ჩვენ მრავალრიცხოვან წევრებთან და პარტიის თავმჯდომარე თიკა ბოკუჩავასთან ერთად ცვლილებების განსახორციელებლადო. მეორე დღეს ჟორჟოლიანმა გაამხილა, მიშამ პარტიის თავმჯდომარეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარიო. ბოკუჩავამ თავიდან არ დაიჯერა ნანუკას ნათქვამი და ამას ჭორაობა უწოდა, ორხელისუფლებიანობას კი – მიუღებელი. ხოლო მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ნანუკა დადასტურებულად გამოაცხადა მისეულ კანდიდატად, განაწყენებულმა თიკამ დაწერა: ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. სწორედ ამგვარმა იმპულსურმა და არათანმიმდევრულმა გადაწყვეტილებებმა მიგვიყვანა იქამდე, სადაც ვართო. თინა კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა პოლიტიკური საბჭოს მიერ ყრილობის ჩანიშვნა არალეგიტიმურად გამოაცხადა და დასასვენებლად ზღვას მიაშურა, რამაც ანა წითლიძის რისხვა გამოიწვია.**

ასე იყო თუ ისე, თინა ბოკუჩავა ყრილობასაც დაესწრო და ენმ-ისადმი ერთგულებაც კიდევ ერთხელ დაუდასტურა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს.

ვნახოთ, როდემდე შეძლებს ნაცმოძრაობა სახის შენარჩუნებას. ის კი ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ამდენი ჯახირის შემდეგ პარტიის სადავეები მთლიანად ხელში ჩაიგდო და ამან მომავლის იმედი განუმტკიცა: **„მე გამოვალ ციხიდან, როგორც ნელსონ მანდელა, რომელიც პირდაპირ მოვიდა ხელისუფლებაში“, ანდა „მე დავბრუნდები როგორც ოდისევსი და გავანთავისუფლებ პენელოპას (საქართველოს)...“**

ღმერთმა არ ქნას!

* * *

**მის მიერ მიყენებული ჭრილობები ჯერაც არ მოუშუშებია საქართველოს.**

**აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული თვეა. 2008 წლის 8 აგვისტოს ომმა, სააკაშვილის ხელისუფლების ავანტიურამ სამაჩაბლოს ნაწილი დაგვაკარგვინა, ხოლო 1992 წლის 14 აგვისტოს, ასევე იმროინდელ ხელისუფალთა უპასუხისმგებლო მოქმედებამ – აფხაზეთი. შედეგად, დღეს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული. შევძლებთ აფხაზებთან და ოსებთან-საქართველოს მოქალაქეებთან ჩატეხილი ხიდების აღდგენას, რუსეთთან დაზავება-შეთანხმებას?**






უნდა შევძლოთ!

ეს ყველა ქართველის ოცნებაა! ეს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებაა, მაგრამ ეს არ შედის ოპოზიციის გეგმებში!

**დღეს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში ზომიერი და პრაგმატულია, ოპოზიციის – რუსოფობიული, უფრო მეტად რუსოფობიული, ვიდრე ყველა ლოგიკის მიხედვით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ უნდა ყოფილიყო და საფუძვლად სულაც არ უდევს პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული, ეს უფრო ხელისუფლებისთვის სწორ გზაზე ფეხის დადებაა, ბორბალში გაჩხერილი ჯოხია! რადიკალები, იგივე უცხო ქვეყნების ინტერესებით მოქმედი აგენტები ყველა ღონეს ხმარობენ ახალ-ახალი პრობლემების გასაჩენად თუ გასაღვივებლად.**

მტკიცებულება? აგერ, სულ ახლახანს ვეტერანმა ნაცმა გიორგი ბარამიძემ იაგო ხვიჩიას გადაცემაში „საქართველოს დაბადება“ წარმოუდგენელი ცრუ ბრალდება გააჟღერა ქართულ-აფხაზურ ომში ქართული მხარის შესახებ: „ჩვენ ტყვეები არ გვყავდა. ჩვენებს ტყვეები არ აჰყავდათ. ჩვენები მათ ხვრეტდნენ“.

**განა ეს პროვოკაცია არ არის ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული? ჰოდა, შეფასდა კიდეც შესაბამისად და საქართველოს პროკურატურამ სამშობლოს ღალატის და საბოტაჟის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, რასაც საფუძვლად დაედო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის განცხადება. საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე პრიმა და 318-ე მუხლებით, რაც სამშობლოს ღალატს და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის შექმნას გულისხმობს.**

ამაოდ ცდილობს **გია ბარამიძის** ბრალდება პოლიტიკურ დევნად მონათლოს. **„მოღალატე რუსქოცებო და პოლიტიკურო ტურებო! საქართველოსთვის თქვენზე ნაკლები მებრძოლის დედა ვატირეო!“-დაწერა მან პროკურატურის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ არა მგონია, ამან რაიმე დივიდენდები მოუტანოს. მის დასაცავად თანამებრძოლებმაც კი ვერ გაბედეს ხმის ამოღება. საზოგადოების აღშფოთება ერთსულოვანი აღმოჩნდა. „სამხედრო საქმის მინიმალური ცოდნა რომ გააჩნდეს ან ბრძოლის წარმოების წესები, ასეთ ბრიყვულ სიტყვებს არასდროს იტყოდა...მას არცერთ საბრძოლო მოქმედებაში არ მიუღია მონაწილეობა, არც მის გვერდით დაღუპული მეგობრის ან ნებისმიერი მებრძოლის დაღუპვის მწარე გემო არ უგრძვნია, არც ბრძოლის ველიდან გამოყვანის...“,** – წერს გენერალ-მაიორი გია ყარყარაშვილი. **„გიორგი ბარამიძე ან იდიოტია, ან მიზანმიმართული მავნებელი“,** – ეს სიტყვები კი ვინმე ქოცის კი არაა, არამედ ისეთი გაცხადებული ნაცისა, როგორიც მსახიობი **ნანკა კალატოზიშვილია.**

იმედია, ჩვენს რადიკალურ ოპოზიციასაც კი ეყოფა ჭკუა და, როცა დრო მოვა, ამ კაცს პოლიტპატიმრად არ გამოაცხადებს.

საინტერესოა **გოგა ხაინდრავას** აზრი გიორგი ბარამიძეზე: **„ეს არის ბოროტი ცილისწამება, ეს არის იმ ქვეყნის ღალატი და იმ ხალხის ღალატი, რომლის მოქალაქედაც თვლი შენს თავს... მისვლა-მოსვლა დაიწყო და გაჩნდა კონტურები იმისა, რომ შეიძლება ჩვენი შერიგება მოხდეს. ზუსტად ამ დროს ეს ვიგინდარა აკეთებს ასეთ განცხადებას. ნახეთ ერთი რუსული საიტები და აფხაზური საიტები, უკვე ჰააგაც გაიხსენეს, სტრასბურგიც გაიხსენეს, აპირებენ ამ საკითხის თავიდან დაყენებას, რომელიც ცალსახად გადაწყვეტილი იყო, რომ დამნაშავე ამაში არის რუსეთი“.**

საქართველოს პროკურატურამ გიორგი ბარამიძის წინააღმდეგ საქმე აღძრა 7 აგვისტოს. იმავე დღეს აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა ამ ფაქტს და მას **„პოლიტიკურად მოტივირებული“** უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მი-

ხაილ გალუზინმა კი TACC-თან ინტერვიუში 11 აგვისტოს ასეთი რამ თქვა: **„ჩვენ მზად ვართ თბილისთან პრაგმატული კავშირების შემდგომი გაფართოებისთვის. აშკარაა, რომ საქართველოს წარმატებული განვითარების საწინდარი არა კონფრონტაცია, არამედ ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობაა“.**

**მოკლედ, გარამიძის ავანტიურამ ვერ შეასრულა აღმძრავი დვედის როლი საპროტესტო ტალღის ასაგორებლად და, აი, ახლა ოპოზიცია ახალ ხავსსაა მოჭიდებული: მოგეხსენებათ, ორიოდე დღის წინ აფხაზეთში საწვავზე შექმნილი კრიზისის ფონზე, საწვავი საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან შევიდა ენგურის ხიდის გავლით. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კობახიძემ დაადასტურა ეს ფაქტი და აღნიშნა, რომ საწვავი არა მთავრობამ, არამედ ბიზნესმა შეიტანა, თუმცა, ისიც დაამატა, რომ თუ მომავალშიც იქნება საშუალება, რომ იქ მცხოვრებ ქართულ და აფხაზურ მოსახლეობას მდგომარეობა შეუმსუბუქდეთ, ეს ნაბიჯი გადაიდგმება, ოღონდ „ოკუპაციის შესახებ“ კანონის ფარგლებში.**

**როგორც ცნობილი გახდა, ოკუპირებულ აფხაზეთში საწვავი კომპანია „სოლიდუსმა“ შეიტანა. საუბარია 300 ტონა საწვავზე(და არა 3 ათასზე), რომელიც კომპანიის მფლობელის გიორგი არველაძის თქმით, კომპანიამ აფხაზ პარტნიორებს მიაწოდა. “ვმუშაობ აფხაზ პარტნიორებთან ერთად. ეს არის ხიდი ქართულ და აფხაზურ ბიზნესს შორის. ეს რომ არ გაგვეკეთებინა, 20 ლიტრიანი კანისტრებით დაიწყებდა 40 ათასი ქართველი გადმოსვლას ზუგდიდში. ამიტომაც გადაწყდა, ჯობდა მე შემეტანა ჩემს აფხაზ მეგობრებთან ერთად“**, – განმარტა მან.

ყველა ნორმალურმა მოქალაქემ, პოლიტიკოსმა და არაპოლიტიკოსმა, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილებმაც კი შერიგებისკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვეს ეს ამბავი და დადებითად შეაფასეს. მაგრამ არა – რადიკალებმა. ნიკა გვარამიამ იმსიგრძე კუდი გამოაბა ამ ამბავს, რომ ევროპას და ოკეანისგაღმელ „მეგობრებს“ მისწვდენოდა: მაღალი ალბათობით შექმნილია სქემა რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ასავლელად და სტრატეგიული დანიშნულების საქონლის შეძენაში დასახმარებლად.

**არ გამოვრიცხოთ, რომ ან იმგვარი ტექნიკა შეაქვთ (მაგალითად, სარეცხი მანქანები), საიდანაც ჩიპები ამოაქვთ რუსებს და სამხედრო მრეწველობაში იყენებენ, რადგან ჩიპების შესყიდვა სანქციების გამო არ შეუძლიათ. ერთიც და მეორეც ევროპული სანქციების თანახმად არ შეიძლება რუსეთს მიეწოდოს და ითვლება მისი საომარი მანქანის დახმარებად. ისე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ბენზინი ყველაზე ნაკლები პრობლემა იყოს და კობახიძის წამოცდენამ ისეთი მეხის დაცემა გამოიწვიოს, ჯერ რომ არ დასცემიათო.**

**რა დიდებულადაა ნათქვამი: კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო!**

**ეგ მეხი, უპირველესად, შენ დაგეცემა, ქოსატყუილა ნიკა გვარამია!**



**ალეკო ასლანიშვილი**



## NEW GREAT GAME

# აფხაზეთის რეგიონი ახალი გეოპოლიტიკური თამაშის სივრცეში

**ბოლო კვირების რამდენიმე, თითქოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა მოვლენამ აფხაზეთის რეგიონის გარშემო საინტერესო და საგანგაშო ნარატიული სურათი შექმნა. ერთ მხარეს გიორგი ბარამიძის ინტერვიუა, სადაც 1992-1993 წლების ომის დროს ტყვეების საკითხზე ნათქვამმა რამდენიმე ფრაზამ აფხაზურ საზოგადოებაში ძველი ტრავმული წარმოდგენების გაძლიერების პოტენციალი შეიძინა. მეორე მხარეს ალექსანდრ დუგინის ძველი თუ ახლად გავრცელებული გზავნილებია, რომლებიც აფხაზური აუდიტორიისთვის რუსეთის, როგორც საბოლოო და უცვლელი მფარველის, საიმედოობაზე კითხვას აჩენს. მესამე მიმართულებით კი თურქეთის პოლიტიკურ და დიასპორულ სივრცეში სულ უფრო ხმამაღლა ისმის მოწოდება აფხაზეთის იზოლაციის დასრულების, აფხაზური პასპორტების გამოყენებისა და პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის შესახებ.**

**ამ მოვლენებს შორის კოორდინირებული კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ გეოპოლიტიკური ანალიზისთვის უფრო მნიშვნელოვანი ზოგჯერ სხვა კითხვაა: რა საერთო ეფექტს ქმნის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გზავნილების თანხვედრა და ვის აძლევს ეს ეფექტი ყველაზე მეტ სტრატეგიულ სარგებელს? სწორედ ამ კითხვიდან იწყება ახალი Great Game-ის შესაძლო კონტურების დანახვა.**

XIX საუკუნის Great Game ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის მხოლოდ ტერიტორიების კონტროლისთვის ბრძოლა არ ყოფილა. გავლენისთვის ბრძოლა ადგილობრივი ელიტების, სავაჭრო გზების, უსაფრთხოების გარანტიებისა და პოლიტიკური ერთგულებების გარშემოც მიმდინარეობდა. XXI საუკუნეში კი გავლენის ინსტრუმენტები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. დღეს გეოპოლიტიკური ძალაუფლების წყარო შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამხედრო ბაზა, არამედ პასპორტი, უნივერსიტეტი, პირდაპირი საზღვაო მარშრუტი, დიასპორა, ისტორიული მეხსიერება, მედია და ის ნარატივი, რომელიც ადამიანს უხსნის, ვისთან არის მისი მომავალი.

ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა T. E. Lawrence-ის ეპოქასთან პარალელი. Lawrence-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დიდი ძალის გეოპოლიტიკური ინტერესი ხშირად ადგილობრივი მოძრაობის თავისუფლების, ღირსებისა და თვითგამორკვევის ენაზე ფორმულირდება. ბრიტანეთისა და არაბული მოძრაობის ინტერესები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ მათი საბოლოო მიზნები იდენტური არ ყოფილა. ეს ისტორიული გაკვეთილი დღესაც აქტუალურია. მცირე ეთნოსისა და დიდი ძალის ინტერესები შეიძლება ერთ მომენტში ემთხვეოდეს, მაგრამ ეს თანხვედრა მუდმივი ალიანსის გარანტია არასოდეს არის.

**სწორედ ამიტომ, გარამიძის განცხადების მნიშვნელობა მხოლოდ მის ისტორიულ სიზუსტეში არ მდგომარეობს. მისი სიტყვები აფხაზურ საინფორმაციო სივრცეში შეიძლება წაიკითხონ, როგორც ქართველის მხრიდან ძველი შიშების არაპირდაპირი დადასტურება. მით უმეტეს მაშინ, როცა რუსული დისციპლინის ხსენება ასიმეტრიულ სურათს ქმნის, სადაც ქართული მხარე ემოციურ და ქაოტურ ძალად წარმოჩნდება, ხოლო რუსული ფაქტორი წესრიგის მატარებლად.**

ერთი ინტერვიუ, რა თქმა უნდა, ვერ ქმნის მთლიან საზოგადოებრივ განწყობას, მაგრამ მას შეუძლია უკვე არსებულ ტრავმულ ნარატივს ახალი სიცოცხლე შესძინოს.

**ამავე დროს, რუსეთის მიმართაც ჩნდება მეორე ტიპის ეჭვი. თუ აფხაზურ საზოგადოებაში გაჩნდება განცდა, რომ მოსკოვს უფრო დიდი რეგიონული შეთანხმების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პრიორიტეტების გადახედვა, მფარველის სანდოობის საკითხი გარდაუვლად წამოიჭრება. რუსეთისთვის აფხაზეთის რეგიონი მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსეთის ინტერესები გაცილებით ფართოა. მას აინტერესებს მთელი საქართველო, სამხრეთ კავკასია, შავი ზღვა, თურქეთი და დასავლეთთან ურთიერთობა. დიდი ძალის პოლიტიკაში მცირე ეთნოსის ინტერესები ყოველთვის უფრო ფართო სტრატეგიული გათვლის ნაწილია.**

ამ ორი შიშის, თბილისის მიმართ უნდობლობისა და მოსკოვისადმი ეჭვის ფონზე, თურქული მიმართულება განსაკუთრებულად მიმზიდველი ხდება. სწორედ აქ უნდა შევხედოთ თურქეთში დაწყებულ კამპანიას **Abhazya icin Izolasyona Son** არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ გეოპოლიტიკური ეფექტის თვალსაზრისითაც. მისი ენა რბილია. საუბარია გადაადგილებაზე, ოჯახის წევრების ნახვაზე, სტუდენტურ გაცვლაზე, ვაჭრობასა და პირდაპირ მიმოსვლაზე. თუმცა, ამავე პროცესს შეუძლია თანდათან შექმნას სოხუმსა და თურქეთს შორის ისეთი პრაქტიკული კავშირები, რომლებიც თბილისის გვერდის ავლით იმუშავებს.

ამ მოდელის ყველაზე ზუსტი აღწერა შეიძლება იყოს **დეიზოლაცია რეინტეგრაციის გარეშე** ფორმალური აღიარება არ ხდება, მაგრამ აფხაზური დოკუმენტი ფუნქციონალურ მნიშვნელობას იძენს. იხსნება საზღვაო ან საჰაერო კავშირები. იზრდება სავაჭრო და საგანმანათლებლო ურთიერთობები. აქტიურდება დიასპორა. სოხუმის დე ფაქტო ინსტიტუტები გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამატებით არხებს იღებენ. შედეგად, აფხაზეთის რეგიონისა და დანარჩენი საქართველოს სახელმწიფოებრივი რეინტეგრაციის საკითხი შეიძლება ფორმალურად არც გაუქმდეს, მაგრამ პრაქტიკულად უკანა პლანზე გადავიდეს.

**სწორედ ეს არის საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული სცენარი. რუსული გავლენის შემცირება ავტომატურად არ ნიშნავს თბილისის გავლენის ზრდას. შესაძლებელია მოსკოვის მონოპოლია, უბრალოდ, მოსკოვისა და ანკარის კონკურენციამ ჩაანაცვლოს, ხოლო თბილისი კვლავ პასიურ მდგომარეობაში დარჩეს.**

თურქეთის განსაკუთრებული უპირატესობა აფხაზეთის რეგიონის მიმართ ისიც არის, რომ მას სამხედრო ძალაზე დაყრდნობილი გავლენის შექმნა არ სჭირდება. თურქეთში მცხოვრები აფხაზური და ჩერქეზული დიასპორები უკვე ქმნიან ბუნებრივ სოციალურ ინფრასტრუქტურას. არსებობს ნათესაობა, ისტორიული მეხსიერება, კულტურული კავშირი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკური ლობირების შესაძლებლობა. ამ ფონზე, მუჰაჯირობის მეხსიერებაც მხოლოდ ისტორიული ტრავმა აღარ არის. ის შეიძლება იქცეს თანამედროვე soft power-ის ნაწილად. ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის აღდგენა ჰუმანიტარულ და ემოციურ ენაზე ფორმულირდება, თუმცა საბოლოო შედეგი პოლიტიკურიც შეიძლება აღმოჩნდეს.

**ამიტომ, ახალი Great Game-ის შესაძლო ნარატიული „კორიდორი“ ასე გამოიყურება. გარამიძის განცხადება აძლიერებს ძველ უნდობლობას დანარჩენი საქართველოს მიმართ. დუგინის მსგავსი გზავნილი აჩენს ეჭვს რუსეთის საბოლოო სანდოობაზე. თურქული კამპანია კი მესამე კარს სთავაზობს – იზოლაციის დასრულებას თბილისთან პოლიტიკური შეთანხმების გარეშე.**

ეს კავშირი არ ამტკიცებს ერთიან შეთქმულებას, მაგრამ არც მისი სტრატეგიული ეფექტის უგულებელყოფა შეიძლება. საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად მთავარია არა ის, ვის ჰქონდა თავდაპირველი განზრახვა, არამედ ის, ვინ შეძლებს უკვე შექმნილი გარემოს საკუთარი ინტერესისთვის გამოყენებას.

ამ თვალსაზრისით, თურქეთი ყველაზე ხელსაყრელ პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს. მას შეუძლია ოფიციალურად კვლავ მხარს უჭერდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პარალელურად კი თურქეთის შიდა პოლიტიკური, დიასპორული და საზოგადოებრივი ქსელების მეშვეობით, აფხაზეთის რეგიონთან პრაქტიკული კავშირები გააფართოოს. ეს ბევრად უფრო მოქნილი პოლიტიკაა, ვიდრე პირდაპირი პოლიტიკური აღიარება და ბევრად ნაკლებ წინააღმდეგობასაც იწვევს.

საქართველოს პასუხი მხოლოდ პროტესტი ან აკრძალვა ვერ იქნება. თუ თბილისი აფხაზურ საზოგადოებას კვლავ მხოლოდ სამართლებრივი ფორმულით ელაპარაკება, მაშინ რუსეთის უსაფრთხოების ნარატივსა და თურქეთის გახსნილობის ნარატივთან კონკურენციაში სუსტ პოზიციაში დარჩება.

**თბილისის შეთავაზება სხვა უნდა იყოს. აფხაზური საზოგადოება არ უნდა იყოს დიდი ძალების მფარველობის ობიექტი. ის უნდა იყოს საერთო სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული თანამფლობელი. ეს მოითხოვს აფხაზური ენის რეალურ ინსტიტუციურ დაცვას, კულტურული უსაფრთხოების გარანტიებს, პოლიტიკური ღირსების აღიარებას, დიასპორის ჩართულობას, ეკონომიკურ ინტერესებზე შეთანხმებასა და ისეთ თავისუფალ მიმოსვლას, რომელიც ადამიანურ იზოლაციას არ ქმნის, მაგრამ არც სეპარატისტული სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო ნორმალიზაციას უწყობს ხელს.**

მთავარი ბრძოლა უკვე მხოლოდ მიწაზე აღარ მიმდინარეობს. ის მიმდინარეობს იმაზე, თუ ვის ენდობა აფხაზური საზოგადოება, სად სწავლობს მისი ახალგაზრდა თაობა, ვისთან აქვს ეკონომიკური და სოციალური კავშირები და რომელ პოლიტიკურ სივრცეში ხედავს საკუთარ მომავალს.

სწორედ ამიტომ, New Great Game-ის მთავარი კითხვა აღარ არის მხოლოდ ის, თუ ვინ აკონტროლებს აფხაზეთის რეგიონს. მთავარი კითხვაა: ვინ შეძლებს აფხაზური საზოგადოების მომავლის ყველაზე დამაჯერებელი წარმოდგენის შეთავაზებას? თუ ამ კითხვაზე პასუხს თბილისი ვერ შექმნის, პასუხს მის ნაცვლად სხვები შექმნიან და მაშინ შეიძლება განმეორდეს დიდი თამაშების ძველი კანონი. მცირე ეთნოსი დიდ ძალასთან ერთ გზაზე შეიძლება დიდხანს მიდიოდეს, მაგრამ გზაჯვარედინზე დიდი ძალა ყოველთვის საკუთარ მიმართულებას ირჩევს.

**საქართველოს ამოცანა სწორედ ამიტომ უნდა იყოს არა სხვა მფარველთან კონკურენცია, არამედ თამაშის წესების შეცვლა ისე, რომ აფხაზურ საზოგადოებას აღარ უწევდეს არჩევანის გაკეთება მოსკოვსა და ანკარას შორის, ხოლო საკუთარი პოლიტიკური მომავალი სოხუმსა და თბილისს შორის შეთანხმების სივრცეში დაინახოს.**



**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი

# ვახტანგ წივწივაძე დიდ ქართულ საქმეს აკეთებს!



ბექა წივწივაძე

## CIU-ში თანამედროვე სპორტული კომპლექსი და კალათბურთის აკადემია იხსნება

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU) ახალი სპორტული კომპლექსი, კალათბურთის აკადემია იხსნება, კომპლექსი სრულად ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებს, CIU-სთვის ეს ნიშნავს კიდევ უფრო ძლიერ საგანმანათლებლო და სპორტულ ცენტრს,**

* * *

**– 10-14 სექტემბერს, პირველად საქართველოში, გაიმართება Real Madrid Foundation Basketball Camp, რომელსაც CIU-ს სპორტული კომპლექსი უმასპინძლებს.**

კემპი ახალგაზრდა კალათბურთელებს უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს, ივარჯიშონ მადრიდის „რეალის“ ფონდის მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ამასთან, მონაწილეებს ელოდებათ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ეკიპირება, გახსნის ოფიციალური ცერემონია, სერტიფიკატები და არაერთი საინტერესო აქტივობა. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნება ყველა მონაწილისთვის.

ჩვენი აკადემია გახდება ის ადგილი, რომელშიც მომავალში გაიზრდებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეები. ასევე, ჩვენი სტრატეგიული მიზანია, აღვზარდოთ ისეთი კალათბურთელები, რომ მომავალში თავი წარმატებით დაიმკვიდრონ NBA-სა და ევროპის უმაღლესი დონის ჩემპიონატებში.

**„უნივერსიტეტის მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორია. ასეთი მასშტაბის პროექტები მხოლოდ მაშინ ხდება წარმატებული, როდესაც არსებობს საერთო ხედვა, ნდობა და ერთიანი მიზანი. ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ ამ მხარდაჭერას და სწორედ ამიტომ გვაქვს ამბიციური გეგმები როგორც კლუბის, ისე აკადემიის განვითარებისთვის.**

**ამასთან, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს, ბატონ ვახტანგ წივწივაძეს, რომელიც ამ პროექტის სულისჩამდგმელი და მხარდამჭერია. ვფიქრობ, ის მართლაც უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის, ახალგაზრდებისა და ქართული სპორტისთვის,** – აცხადებს აკადემიის დირექტორი და გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბექა წივწივაძე.**



# ზესტაფონში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტირება იწყება

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ზესტაფონში 500 მაყურებელზე გათვლილი მრავალფუნქციური კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე ხელშეკრულება გააფორმა,** – ინფორმაციას ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროექტის ფარგლებში მომზადდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და კულტურულ-შემეცნებითი ცენტრის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**„კომპლექსში გათვალისწინებული იქნება მრავალფუნქციური დარბაზი, საცურაო აუზები, სხვადასხვა სპორტის სახეობისთვის განკუთვნილი დარბაზები და სატრენაჟორო სივრცე, ფეხბურთისა და რაგბის სავარჯიშო მოედნები. პროექტი ასევე მოიცავს პარკინგის, ბილიკების, განათებისა და უსაფრთხოების სისტემების მოწყობას, ტერიტორიის გამწვანებასა და კეთილმოწყობას.**

**სპორტულ კომპლექსში დაგეგმილია ძიუდოს, ჭიდაობის, კრივის, MMA-ის, მაგიდის ჩოგბურთის, სპორტული ტანვარჯიშის, სხვადასხვა ორთაბრძოლის, ფარიკაობისა და ძალოსნობისთვის განკუთვნილი სავარჯიშო სივრცეების მოწყობა.**

**სპორტული ინფრასტრუქტურის პარალელურად, მრავალფუნქციურ კომპლექსში გათვალისწინებულია კულტურულ-შემეცნებითი მიმართულების განვითარებაც. მოეწყობა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული მიმართულებების, უცხო ენების შესწავლისა და STEM-კლუბისთვის განკუთვნილი სივრცეები, ასევე მედიათეკა და სხვა საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ზონები. ზესტაფონისთვის მომზადებული პროექტი ტიპიური იქნება და შემდგომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კონკრეტულ ლოკაციებზე მორგების საფუძველზე, მრავალფუნქციური კომპლექსების მოსაწყობად იქნება გამოყენებული. ხელშეკრულება, ძირითადი პროექტის გარდა, დამატებით 5 ლოკაციაზე მის ადაპტირებასაც ითვალისწინებს.**

**პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონებში თანამედროვე სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სპორტული და ახალგაზრდული აქტივობებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას,“** – წერია ინფორმაციაში.



# სვალბარდის გლობალური თესლის საცავი,

## ანუ კაცობრიობის აგრარული მეხსიერების ბანკი




**ჩრდილოეთ პოლუსიდან 1,300 კილომეტრის დაშორებით, ნორვეგიის არქიპელაგ შპიცბერგენზე, პლატოფჯელეტის (Plat of jellet) ქვიშაქვის მთის სიღრმეში მდებარეობს გლობალური მნიშვნელობის უსაფრთხოების ობიექტი – სვალბარდის გლობალური თესლის საცავი.**

**მისი მთავარი დანიშნულება არა ძვირფასი ლითონების ან კაპიტალის, არამედ დედამიწის აგრარული გენეტიკური რესურსების დაცვა და შენარჩუნებაა. საცავის იდეა 1980-იან წლებში ჩრდილოეთის ქვეყნების სარეზერვო ფონდის ბაზაზე გაჩნდა, ხოლო ობიექტი ოფიციალურად 2008 წლის 26 თებერვალს გაიხსნა.**

**ვალბარდის საცავი არ ანაცვლებს მსოფლიო გენბანკებს, არამედ მოქმედებს როგორც სარეზერვო სისტემა და ინახავს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული კოლექციების დუბლიკატებს.**

არქიტექტურული და გეოლოგიური თვალსაზრისით, ობიექტი დაპროექტებულია ექსტრემალური კატასტროფებისადმი მაქსიმალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. საცავის შესასვლელი ზღვის დონიდან დაახლოებით 130 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, რაც გამორიცხავს მის დატბორვას პლანეტის ყველა მყინვარის სრული დნობის შემთხვევაშიც კი. მთის სიღრმეში შეყვანილი 120-მეტრიანი ბეტონის გვირაბი უკავშირდება სამ ძირითად კამერას, რომლებიც გათვლილია რიხტერის შკალით 10 ბალამდე სიმძლავრის მიწისძვრებზე, ბირთვულ დარტყმებსა და მასშტაბურ ტექტონიკურ ძვრებზე. ინფრასტრუქტურა მდებარეობს მუდმივი მზრალობის ზონაში, სადაც ბუნებრივი ტემპერატურა -3-დან -4 გრადუსამდე მერყეობს. სპეციალური სამრეწველო სამაცივრო სისტემები ტემპერატურას ოპტიმალურ -18°C-მდე აცივებენ, თუმცა ელექტროენერგიის სრული გათიშვის შემთხვევაშიც კი, გარშემორტყმული ყინულის ფენა შენობას კვირების განმავლობაში უნარჩუნებს უსაფრთხო ზღვარს. საცავს 4.5 მილიონამდე მცენარეული ჯიშის ნიმუშის დატევა შეუძლია. 2026 წლის თებერვლის მონაცემებით, ათი ახალი დეპოზიტორისგან მიღებული 7,864 ახალი ნიმუშის შემდეგ, დაცული თესლების საერთო რაოდენობამ 1,386,102-ს მიაღწია.

იურიდიული და ოპერაციული თვალსაზრისით, საცავი ფუნქციონირებს „შავი ყუთის“ პრინციპით. ეს ნიშნავს, რომ დეპოზიტორი ქვეყანა ინარჩუნებს სრულ საკუთრების უფლებას თავის ნიმუშებზე – ნორვეგიის მთავრობას ან ნებისმიერ მესამე მხარეს არ აქვს უფლება, გახსნას ან გამოიყენოს შენახული კონტეინერები მფლობელის ოფიციალური მოთხოვნის გარეშე. ამ მოდელმა შექმნა უნიკალური ნეიტრალური სივრცე: საცავის თაროებზე გვერდიგვერდ ინახება ისეთი ქვეყნების გენეტიკური მასალები, რომლებიც პოლიტიკურად მტრულ ურთიერთობაში არიან, მაგალითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ან აშშ-ისა და რუსეთის ნიმუშები.

საინტერესოა ობიექტის ესთეტიკური მხარეც. ნორვეგიული კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებრივი დაფინანსების მასშტაბურ პროექტებში ხელოვნების ნიმუშის ინტეგრირება სავალდებულოა. მხატვარ დივეკე სანეს მიერ შექმნილი ინსტალაცია „Perpetual Repercussion“ საცავის ბეტონის შესასვლელის სახურავზეა განთავსებული. უჟანგავი ფოლადის, სარკეებისა და პრიზმების კომბინაცია ზაფხულის პოლარულ დღეებში მზის სხივებს ირეკლავს, ხოლო ზამთრის პოლარულ ღამეში 200-ზე მეტი ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი შენობას ჩრდილოეთის ნათების მსგავსი ცისფერ-მწვანე შუქით ანათებს.

**საცავის ეფექტურობა პრაქტიკაში 2015 წელს დადასტურდა, როდესაც სირიის სამოქალაქო ომის შედეგად ქალაქ ალეპოში მდებარე მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICARDA) გენბანკი განადგურდა. მკვლევრებმა სვალბარდიდან პირველად გამოითხოვეს მანამდე შენახული სარეზერვო ნიმუშები, რისი მეშვეობითაც ლიბანსა და მაროკოში კოლექციის სრული აღდგენა და გამრავლება შეძლეს. სოფლის მეურნეობაში კონკრეტული ჯიშის გაქრობა გენეტიკური მრავალფეროვნების სამუდამო დაკარგვას ნიშნავს, რის გამოც, არქტიკულ კლდეში განთავსებული ეს ობიექტი წარმოადგენს ცივილიზაციის დაზღვევის მექანიზმს – ადგილს, სადაც გლობალური კატასტროფის შემთხვევაშიც კი ინახება პლანეტის აგრარული სისტემის თავიდან დაწყების შესაძლებლობა.**





# საუკუნეს გადაცილებული გაზეთის 100 წლის თანამშრომელი

## თამარ ჩხარტიშვილის სიცოცხლე ჩვენი სიმდიდრეა!

**1926 წელს, როდესაც ჩვენი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ რვა წლისა იყო, საქართველოს ულამაზეს კუთხეში, გურიაში, ენაკვიმატ და იმდროისთვის ჯერ კიდევ შემოურიგებელი ანტიბოლშევიკური ფირალების ბუდედ ცნობილ ლანჩხუთში, კერძოდ სოფელ ყელაში (ამჟამად ნინოშვილი), არცთუ დარიბი და არც თუ შეძლებულად ცნობილი ვანო ჩხარტიშვილის ოჯახში, რიგით მეორე შვილი, უმშვენიერესი თამარი დაიბადა.**

**ახლა დაზუსტებით ვეღარავინ იტყვის და არც მომსწრეები აღარ არსებობენ, გახარებულმა მამამ ფილთა თოფი თუ ააჭექა „ბალკონზე“ გამოსულმა, მაგრამ ჩვენ ჩავთვალოთ, რომ „მოურჯულებელი“ გურულები ერთხელ მაინც ამცნობდნენ თოფის „გარახუნებით“ სამეზობლოს ახალი სიცოცხლის დაბადებას, არ მიაქცევდნენ ყურადღებას 1924 წლის რეპრესიების გამო ყოველ მეორე ოჯახში წითელი კომისრების თვალთვალსა და ტყეში „მაღვიძარად“ წაყვანილი მამლების იმედზე დარჩენილ აგრაგთა მდევნელ ჩეკისტებს. ისე რავა გოუწყრებოდათ ღმერთი გურულებს, მოლოგინებული ანეტა გოგუაძის სასთუმალთან მომრავლებული ჭინკები რომ არ დაეფრთხოთ, თორემ ორიოდე წლის წინ ჩხარტიშვილების ოჯახში პირველად შემოგრძანებული ვაჟის დაბადების დროს რაც ტყვიაწამალი დაიხარჯა, იმას ფილიპე მახარაძის ჩეკისტებიც ვერ დაითვლიდნენ...**

რამდენიმე წლის შემდეგ ჩხარტიშვილების ოჯახში მესამე შვილიც დაიბადა.

მოკლედ, ჩვენო მკითხველო, რა შუაშია აქ **108 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“** და 100 წლის **თამარ ჩხარტიშვილი,** ამას წერილის ჩაკითხვამდე მიხვდებით. მოკლედ, ბედნიერ ოჯახში გაჭირვება არ უგრძვნიათ, მშრომელი მშობლების წყალობით სამივე შვილს საწუწუნო არაფერი ჰქონდათ, სანამ ომის ქარტეხილი არ დაატყდებოდა სამშობლოს, ყოველი ოჯახიდან წყვილ-წყვილად არ წაიყვანდნენ საჯიშე ბიჭებს და სისხლაჩუხჩუხებული გურულებიც ერთი იმდენი კიდევ თავისი ნებით არ გაუდგებოდა ჯოჯოხეთის ცეცხლაგიზგიზებულ ევროპა-რუსეთის გზებს. ამ დროს მოუწია სკოლაში სწავლა თამარსა და მის და-ძმას, რადგან სოფელში საშუალო სკოლა არ იყო, ცოდნადაწაფებული გოგონა რვა კლასის დამთავრების შემდეგ, მამამ ბათუმში წაიყვანა და იქ დაამთავრებინა საშუალო სასწავლებელი. ფრონტი თავისას მოითხოვდა, ოჯახი – თავისას, სწავლასშემდგარი ბავშვები თავისას და ვანო ჩხარტიშვილის ოჯახი დიდიან-პატარიანად შრომობდა.

ომის წლებში, თბილისში, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თამარიც იმდროის შესაფერისად აგრძელებდა სტუდენტობას. მუყაითი და შრომისმოყვარე გოგონა მართლაც გამორჩეული იყო თანატოლებს შორის, სწორედ ამიტომაც, სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პირველ გაზეთში დაიწყო მუშაობა სტილისტ-კორექტორად.

**აი, ძვირფასო მკითხველო, იუბილარზე რვა წლით უფროსი გაზეთის ხსენება რად დაგვჭირდა ამ მოსაფერებელი წერილის დასაწყისში. ქართველ კაცს უთქვამს „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“... და ეს სწორედ ქალბატონ თამარზეა ნათქვამი. მკითხველს იმასაც შევახსენებთ, თუ რამდენად რთული, შრომატევადი პროფესია აირჩია ახალგაზრდა გოგონამ. სტილისტ-კორექტორობა არამარტო ქართული ენის გრამატიკის და მართლწერის დიდ ცოდნას, გამოცდილებას მოითხოვს, არამედ ურთულესი გრაფიკით, ღამის საათებში მუშაობასაც. მით უმეტეს კომუნისტურ ეპოქაში, როცა ყველა სიტყვას მრავალგზის ამოწმებდნენ, წერტილ-მძიმესაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ათასგვარი ცენზურაგამოვლილი გვერდის საბოლოო სახემდე მიყვანას გამთენიამდე „თვალების დათხრა“ სჭირდებოდა. ასე, უძილო ღამეებით, ლექსიკონებში კირკიტითა და სხვადასხვა ხასიათის მქონე რესპონდენტ-ავტორების გემოვნების გათვალისწინებით გადიოდა წლები.**

**და იცით რამდენი? ნახევარ საუკუნეზე მეტი!**

**ნახევარი საუკუნე უძილო ღამეები, ჩვენი ქვეყნის რჩეული პუბლიცისტების, მწერლების, პოლიტიკოსების, დამწყები ჟურნალისტების ნააზრევისა და მათი გემოვნების გათვალისწინება, და ეს იმ დროს, როდესაც კომპიუტერული ტექნიკის შესახებ საუბარიც ავლივ ზურაბაშვილის პაციენტობის ტოლფასი იყო. გამდნარ ლითონზე ჩამოსხმული თითოეული სტრიქონი, ლინოტიპის მანქანების სმენის დამხშობი ხმაური, ერთი გამოტოვებული ასოს გამო გადაწყობილი ნახევარი გვერდი, საოცარი ერთფეროვნება, ერთი და იგივე ოთახი, ერთი და იგივე შენობა, ერთი და იგივე რედაქცია და შენს თვალწინ მოფუსფუსე ერთი და იგივე ხალხი. სამაგიეროდ – საქმის ფანატიკური სიყვარული, ერთგულება და დიდი პროფესიონალიზმი, უშეცდომოდ წაკითხულ-გამზადებული ათასობით გვერდი მთელი შემოქმედებითი წლების მანძილზე და ბოლოს ერთი პიროვნების – უსამშობლო, მოძალადე მიშას „ხუშტურების“ გამო მშობლიური გამომცემლობიდან, იმ შენობიდან, სადაც „პატარა გოგონას“ უკვე 80(!) წელი შეუსრულდა და ნახევარ საუკუნეზე მეტი შრომითი სტაჟი დააგროვა, დაუნდობლად გამოყრილი და ქუჩაში დარჩენილი თანამშრომლები.ეს ყველაფერი ერთ ღამეში ხდება და ჩვეული რიტმით სამსახურში მისულს, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა ნაცური პოლიციის კორდონით გარშემორტყმული, რედაქციების პირადი ქონება ფანჯრებიდან გადმოყრილი, აღშფოთებული, გაოგნებული, გაფითრებული თანამშრომლები, მეგობრები, კოლეგები და ქუჩაში დარჩენილი ათასობით ადამიანი. იმ დღის შემდეგ ქალბატონი თამარი რედაქციაში არ მოსულა!..**

შენობაც ვიშოვეთ (უფრო სწორად, ვიქირავეთ), კვლავ შევიკრიბეთ, გაზეთიც გამოდის, მაგრამ საუკუნეგადაცილებული გაზეთის თითქმის თანატოლი, დღეს უკვე სახლში გამოკეტილი ასი წლის თამარ ჩხარტიშვილი იმ მოგონებებით ცხოვრობს, რაც თავის უსაყვარლეს საქმეს მიუძღვნა...

არცთუ ისე ცუდი მოგონებები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, და ესეც ბუნებრივია საუკუნის ქალბატონისთვის, ამ ქვეყნიდან წასულ მეგობრებზე, კოლეგებზე, ახლობლებზე...

ჩვენს ლამაზ და ჭკვიან თანამშრომელს, უნივერსიტეტის აუდიტორიიდან პირველ გაზეთში მოსულ გოგონას ყურადღების გარეშე როგორ დატოვებდნენ უცოლშვილო თანამშრომლები. ყველაზე რჩეული პავლე იორამაშვილი გამოდგა, გამომცემლობის ბეჭდვითი საამქროს ოსტატი, დინჯი და შრომისმოყვარე ქართლელი კაცი და... თამარ ჩხარტიშვილი იორამაშვილების ოჯახის რძალი გახდა. წლები ერთად გაატარეს გამომცემლობაში, ცხოვრების საუკეთესო წლები, ქალ-ვაჟი აღუზარდეს სამშობლოს, ნიჭიერები და ისეთი შრომისმოყვარეები, როგორც ამ კეთილ, მშრომელ ადამიანებს შეეფერებოდათ.



დედა-შვილი — თამარი და მაია

მათი ქალიშვილი **მაია იორამაშვილი** დედის კვალზე წავიდა – უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისიც დედის გვერდით კორექტორ-სტილისტად მუშაობდა, ახლაც ჩვენი თანამშრომელია, დედაზე არანაკლებ პროფესიონალი, საოცრად ზნეკეთილი, უბრალო და ღვთისნიერი.

**ქალბატონი თამარის მოღვაწეობა ახალგაზრდობიდანვე დააფასეს – 1971 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა, 1983 წელს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 1999 წელს ღირსების მედლით აღნიშნეს მისი ხანგრძლივი შრომა და გარჯა.**

**ახლა ქალბატონი თამარი ორი შვილის, სამი შვილიშვილისა და სამი შვილთაშვილის ბებიაა. არამარტო კოლეგები და მისი მშობლიური, თითქმის თანატოლი გაზეთის თანამშრომლები ვულოცავთ საუკუნოვან იუბილეს, არამედ ყველა ქართველი და ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველი, რადგან თითზე ჩამოსათვლელ საქართველოს მოსახლეობას, მართლაც თითზე ჩამოსათვლელი საუკუნოვანი ადამიანი გვყავს, თან ისეთი ხალხი, რომლებმაც უჩუმრად, უანგაროდ იღვაწეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**100 წლის იუბილეს გილოცავთ, ქალბატონო თამარ!**

მეგობრების და კოლეგების სახელით

**სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე**

**17 აგვისტოს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკისა და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, გენერალ-მაიორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დამფუძნებელსა და მის სამეცნიერო-ინტელექტუალურ ლიდერს, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურ კონსტრუქტორს, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს 80 წელი უსრულდება.**

# ელგუჯა მეძმარიაშვილი – მეცნიერების, ინჟინერიისა და სამშობლოს სამსახურში



**ეს იუბილე მხოლოდ ერთი გამორჩეული მეცნიერის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღი არ არის. იგი ქართული მეცნიერების, საინჟინრო აზროვნებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი საქმის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენაა.**

ელგუჯა მეძმარიაშვილის სახელი დაკავშირებულია იმ დიდ სამეცნიერო და საინჟინრო მიღწევებთან, რომლებმაც ქართული ტექნიკური აზრი საერთაშორისო მასშტაბის გამოწვევებთან დააკავშირა. მისი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის სფერო მოიცავს კოსმოსურ და მიწისზედა სპეციალური დანიშნულების ნაგებობებსა და კომპლექსებს, სამხედრო-საინჟინრო სისტემებს, ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიას, ქვეყნის თავდაცვის საინჟინრო უზრუნველყოფას და სამხედრო თეორიის მნიშვნელოვან მიმართულებებს.

მან შეძლო ჩამოეყალიბებინა სამხედრო მეცნიერთა და დიდი სამხედრო გამოცდილების მქონე პირთაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც დაახლოებით 10-წლიანი მუშაობის შედეგად შექმნა პირველი „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სამხედრო სფეროში მოღვაწე ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბატონი ელგუჯას ხელმძღვანელობით დამუშავებული იქნა თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სამეცნიერო პროექტი, რომლის რეალიზებამაც მოგვცა შესაძლებლობა ჩამოგვეყალიბებინა ქვეყნის ტერიტორიის (თავდაცვითი სივრცის) სამხედრო-საინჟინრო მოწყობის მეთოდოლოგია, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში.

ბატონმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა პროფესიული გზა სამშენებლო ინჟინრის განათლებით დაიწყო და ათწლეულების განმავლობაში შექმნა საკუთარი სამეცნიერო სკოლა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულებები და მომზადდა ინჟინერთა და მეცნიერთა არაერთი თაობა. მისი მოღვაწეობა ყოველთვის გამოირჩეოდა ფუნდამენტური ცოდნისა და პრაქტიკული საინჟინრო ამოცანების ორგანული შერწყმით.

განსაკუთრებული ადგილი მის მრავალმხრივ საქმიანობაში უკავია კოსმოსური ტექნიკისა და სპეციალური ნაგებობების შექმნას. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის, რომელიც ორბიტაზე გავიდა, გენერალურ კონსტრუქტორად ყოფნა ქართული მეცნიერებისა და საინჟინრო აზროვნების ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია. ეს იყო არა მხოლოდ ტექნიკური მიღწევა, არამედ ქართული სამეცნიერო პოტენციალისა და ქართველი სპეციალისტების შესაძლებლობების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა. მან ასევე სამხედრო მეცნიერთა და დიდი სამხედრო გამოცდილების მქონე პირთაგან ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელმაც შექმნა პირველი „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სამხედრო სფეროში მოღვაწე ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბატონი ელგუჯას ხელმძღვანელობით დამუშავებული იქნა თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სამეცნიერო პროექტი, რომლის რეალიზებამაც მოგვცა შესაძლებლობა ჩამოგვეყალიბებინა ქვეყნის ტერიტორიის (თავდაცვითი სივრცის) სამხედრო-საინჟინრო მოწყობის მეთოდოლოგია, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში.

ელგუჯა მეძმარიაშვილის საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მისი სამეცნიერო სივრცისთვის. მის მიერ დაფუძნებული ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი დღესაც აგრძელებს იმ სამეცნიერო ტრადიციებსა და მიმართულებებს, რომელთა შექმნასა და განვითარებას ბატონმა ელგუჯამ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა.

მეცნიერის ღვაწლი მხოლოდ მიღწეული შედეგებით არ განისაზღვრება. მისი განსაკუთრებული დამსახურებაა ისიც, რომ მან ცოდნა და გამოცდილება მომავალ თაობებს გადასცა. მრავალი ახალგაზრდა მკვლევარი, ინჟინერი და სპეციალისტი სწორედ მისი სამეცნიერო სკოლიდან იღებს პროფესიულ საფუძველს, კვლევის კულტურასა და პასუხისმგებლობის განცდას ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე.

ელგუჯა მეძმარიაშვილის პროფესიული და სამეცნიერო გზა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა მთელი ცხოვრება მიუძღვნას ცოდნას, შემოქმედებით ძიებასა და ქვეყნის სამსახურს. მისი მოღვაწეობა გვიჩვენებს, რომ დიდი მეცნიერება მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის – იგი პასუხისმგებლობაა, შრომაა, გამბედაობაა და საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობების რწმენაა.

80 წლის იუბილე განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლიერებით გვავსებს. ჩვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის კოლექტივი, ვულოცავთ ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, შემოქმედებით ენერგიას, ახალ სამეცნიერო წარმატებებსა და იმ სიხარულს, რომელსაც საკუთარი მრავალწლიანი შრომის შედეგების, შექმნილი სამეცნიერო სკოლისა და აღზრდილი თაობების დანახვა ანიჭებს ადამიანს.

**ბატონო ელგუჯა, თქვენ ხართ ქართული მეცნიერებისა და საინჟინრო აზროვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. თქვენი ცხოვრების გზა და სამეცნიერო მემკვიდრეობა ქართული ტექნიკური ინტელექტის ღირსეული ისტორიის ნაწილია.**

**გულითადად გილოცავთ 80 წლის იუბილეს!**

**უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით,**

**ინსტიტუტის კოლექტივი**



# ღირსეული მეცნიერი, პედაგოგი და ადამიანი

**2026 წლის 17 აგვისტოს 80 წელი უსრულდება გამორჩეულ მეცნიერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დამფუძნებელს, აკადემიკოსს, პროფესორ ელგუჯა მეძმარიაშვილს.**

**არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც მხოლოდ პირადი წარმატებების ჯაჭვი არ არის – ისინი ეპოქას ქმნიან, აყალიბებენ სამეცნიერო სკოლას, ზრდიან თაობებს და საკუთარი შრომით მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ ქვეყნის განვითარებაში. სწორედ ასეთ პიროვნებად მიმაჩნია ბატონი ელგუჯა.**

მრავალი ათწლეულის განმავლობაში მისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართულ საინჟინრო და სამეცნიერო სივრცეს. მის მიერ დაფუძნებული ინსტიტუტი არაერთი მნიშვნელოვანი იდეისა და პროექტის სათავე გახდა. მისმა ცოდნამ, პრინციპულობამ და საქმისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ ჩამოაყალიბა გარემო, სადაც პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა უმთავრეს ღირებულებად მიიჩნევა.

ჩემთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ ამ ინსტიტუტს და ბატონ ელგუჯასთან თანამშრომლობას უკავშირდება. 45 წლის განმავლობაში მომეცა შესაძლებლობა მემუშავა იმ კოლექტივში, რომლის შექმნასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მას მიუძღვის, ხოლო ბოლო 15 წელი ინსტიტუტის დირექტორის პოზიციაზე მუშაობა ჩემთვის არა მხოლოდ პროფესიული პასუხისმგებლობა, არამედ დიდი ნდობის გამოხატულებაც იყო.

ბატონი ელგუჯა ყოველთვის გამოირჩეოდა არა მხოლოდ მეცნიერული ხედვით, არამედ ადამიანებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც. მისგან ბევრს ვსწავლობთ – ცოდნას, საქმის სიყვარულს, ღირსებას, კოლეგების პატივისცემას და იმ იშვიათ უნარს, როცა ხელმძღვანელი შენთვის მხოლოდ უფროსი კი არა, თანამოაზრე და გულშემატკივარიც ხდება.

დრო გადის, იცვლებიან თაობები, თუმცა ნამდვილი მეცნიერისა და მასწავლებლის კვალი რჩება. რჩება მის მიერ შექმნილი საქმე, აღზრდილი სტუდენტები და თანამშრომლები, რომელთათვისაც მისი გამოცდილება და რჩევა ყოველთვის ფასეული იყო.

**გულითადად ვულოცავ ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულიერ სიმტკიცეს, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ მრავალ ბედნიერ დღეს ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში. დარწმუნებული ვარ, მისი პროფესიული და ადამიანური ღვაწლი მომავალშიც დარჩება მაგალითად თაობებისთვის.**

**ღრმა პატივისცემითა და მადლიერებით,**

**ნოდარ წიგნაძე,**

**ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**

საქართველოს აგრარული ეკონომიკური აზრისა და მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა. მისი მრავალწლიანი სამეცნიერო, პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობა დაკავშირებულია აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემების კვლევასა და ამ მიმართულებით ახალი სამეცნიერო მიდგომების ჩამოყალიბებასთან.



# მეცნიერების ერთგულების 60 წელი

## აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი 85 წლისაა

**ომარ ქეშელაშვილი დაიბადა 1941 წლის 14 აგვისტოს მეცნიერთა ოჯახში. მამა ქართული აგროგიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, დედა კი – ცნობილი მეცნიერ-ნიადაგმცოდნე. სამეცნიერო გარემოში აღზრდამ და ოჯახურმა ტრადიციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი პროფესიული ინტერესებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ჩამოყალიბებაში.**

1963 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი. 1968 წელს, 27 წლის ასაკში, დაიცვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1978 წელს – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი სადოქტორო კვლევა, რომელიც გამოჩენილმა მეცნიერებმა მაღალი შეფასებით აღნიშნეს, წარმოადგენდა ახალ მიმართულებას მიწათმოქმედების ქიმიზაციის ეკონომიკური შეფასების სფეროში. კვლევაში, იმ პერიოდისთვის ინოვაციური მიდგომის სახით, გამოყენებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

1994 წელს ომარ ქეშელაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). იგი ასევე არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ეკონომიკის, ბიზნესისა და ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

ომარ ქეშელაშვილის სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობა განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, სადაც 1966 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა: თავდაპირველად უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1973 წლიდან – სექტორის გამგედ, 1979 წლიდან – განყოფილების გამგედ, ხოლო 1984 წლიდან – დირექტორის მოადგილედ.

1988 წლიდან იგი იყო აღნიშნული ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 2006 წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა ამავე ინსტიტუტის დირექტორად. 2007 წლის 5 სექტემბრიდან 2011 წლის აგვისტომდე ხელმძღვანელობდა ახლად დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტს, თავდაპირველად დირექტორის, შემდგომ კი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელის რანგში.

1991-2011 წლებში ომარ ქეშელაშვილი იყო მის მიერ დაფუძნებული კერძო უმაღლესი სასწავლებლის – საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის – რექტორი. 2011 წლიდან კი ამ უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული შპს „ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის“ დირექტორია.

2008 წლიდან იგი იყო საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საქართველოს აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკულ საჭიროებებთან დაკავშირებული კვლევების განვითარებაა. მისი გამოკვლევებით ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდა აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების, რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სამეურნეო რისკების მართვის მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფა.

მან პირველმა შეიმუშავა სპეციალური მეთოდიკა და კომპიუტერული პროგრამა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების – მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების – გამოყენების ეკონომიკური შეფასება. კვლევისას გათვალისწინებული იყო როგორც შესაბამისი მეცნიერული საფუძვლები, ისე საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო ზონის თავისებურებები.

საქართველოში პირველად მის მიერ იქნა გამოკვლეული და დადგენილი მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები. ამ კვლევებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისა და წარმოებაში რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის.

აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკების მართვის პრობლემების სისტემურ კვლევას. 2008–2009 წლებში მან პირველად განსაზღვრა რისკების მართვის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალური დონეები ფერმერული მეურნეობებისთვის, საქართველოს სხვადასხვა ზონის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნულ კვლევებს მნიშვნელოვანი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემის შემუშავებაშიც. ჩატარებული კვლევების საფუძველზე 2009 წელს საქართველოს ტერიტორია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის მიხედვით დაიყო 13 ზონად და 8 ქვეზონად. აღნიშნული ზონირება, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის კავშირს კვების მრეწველობასთან, საფუძვლად დაედო აგრარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებასა და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრას.

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის თანახელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით 1977, 1982 და 1986 წლებში მომზადდა და მასობრივი ტირაჟით გამოიცა ავტორთა კოლექტივის კაპიტალური ნაშრომი „რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ“. 1985-1987 წლებში მისი მონაწილეობით მომზადდა ასევე „სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების რეკომენდაციები“ საქართველოს 15 ტიპური სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის. აღნიშნული ნაშრომისთვის ავტორთა კოლექტივს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი ხარისხის პრემია.

1970-1980-იან წლებში, მისი თანახელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა კომპლექსური პროექტი „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი აგროსამრეწველო კომპლექსში“, რომელშიც 40-ზე მეტი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო დაწესებულება მონაწილეობდა.

1970-იანი წლებიდან დაახლოებით 10–15 წლის განმავლობაში აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და საერთო კოორდინაციით განხორციელდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-გამოყენებითი სამუშაოები საქართველოს 15 რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესამუშავებლად. აღნიშნული პროგრამები შემდგომში პრაქტიკაში დაინერგა.

1990-იანი წლებიდან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ომარ ქეშელაშვილის სამეცნიერო საქმიანობამ ახალი მიმართულებები შეიძინა. 1995 წელს მან შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელო „ბიზნესის ორგანიზაცია“, რომლითაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სარგებლობდნენ.

მისი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა არაერთ მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში აისახა, მათ შორისაა: „აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (1986); „სამართალმცოდნეობა ყველასათვის“ (2001); „ვინ იცის ეკონომიკა?“ (2004); „ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ (2005); „ინტელექტუალური საუბრები“ (2005); „საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა“ – ოთხ ტომად (2008-2010); „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“ (2009); „ბიზნესური ეკონომიკა“ (2010); „სამთო სოფლის მეურნეობა (განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები)“ (2010); „ბიზნეს-გეგმის შედგენის თეორია და პრაქტიკა“ (2012); „ეკონომისტისა და ბიზნესმენის ცნობარი“ (2014); „ეკონომიკური ცოდნის მცირე საგანძური“ (2014) და „ეს ყველამ უნდა იცოდეს“ (2015).

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არაერთხელ იქნა სათანადოდ დაფასებული. იგი არის საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი პრემიის ლაურეატი (1983), საკავშირო სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების კონკურსის III ხარისხის პრემიის ლაურეატი (1983), საზოგადოება „ცოდნის“ მედლის – „აქტიური მუშაობისათვის“ – მფლობელი (1987), დაჯილდოებულია „ღირსების“ ორდენით (1999). 2013 წელს მიენიჭა აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის საპატიო წოდება ეკონომიკის დარგში. ასევე დაჯილდოებულია საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც აერთიანებს ფუნდამენტურ კვლევებს, მეთოდოლოგიურ ნაშრომებს, სახელმძღვანელოებსა და პრაქტიკული დანიშნულების რეკომენდაციებს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული აგრარული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში. მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა დაკავშირებულია აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის, სამეურნეო რისკების მართვის, საწარმოო სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების კვლევასთან.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ბატონ ომარ ქეშელაშვილს დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შემოქმედებით ენერგიასა და ახალ სამეცნიერო წარმატებებს.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**



**ბესარიონ კილასონია**

**პროფესორი, სასამართლო ექიმი**

# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

## აქტი

**ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების შესახებ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.**

**1938 წლის 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმომტანი კომისიის წევრების ა.მაშაშვილის, შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის და პროფ. ვლადიმერ ჟღენტის თანდასწრებით დიდუბის პანთეონში გათხრილ იქნა პოეტის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის საფლავი. საფლავიდან ნეშტის ამოღებას დაესწრო მწერალთა აქტივი.**

**საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დახურული, კარგად შენახული. კაკლის ხის კუბო დაშლილი. ცინკის კუბო არის სიგრძით 97 სანტიმეტრი, სიმაღლით 25 სანტ; სიგანით 56 სანტ.**

8,5 საათზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. პროფ. ვლ. ჟღენტმა მოახდინა ნეშტის მეცნიერული დათვალიერება და ჩონჩხის აღდგენა-გაზომვა. ასისტენტობდა დოც. ა.ჯორბენაძე.

მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია: ნ.ბარათაშვილის ნეშტის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. მარცხენა ქვედა კიდურის წვივ-კოჭის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოჟიჟება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია. თავის ქალა საშუალო ზომისაა.

12 საათზე და 45 წუთზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში.

კომისიის თავმჯდომარე – ალიო მაშაშვილი; კომისიის წევრები – 1. ვლ. ჟღენტი; 2. ა. ჯორბენაძე; 3. გ. ლეონიძე; 4. ი. მოსაშვილი; 5. შ. დადიანი; მდივანი: გ. აბზიანიძე.“

ცნობილი პათოლოგანატომი, პროფესორი არკადი ჯორბენაძე, ვ. ჩაჩანიძესთან საუბრის დროს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადასვენებას ასე იგონებს: „დიდი დაძაბულობა და ინტერესი იგრძნობოდა დამსწრე პირთა შორის დიდუბის პანთეონში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის გახსნის დროს, როდესაც ჩონჩხი საფლავიდან ამოვიღეთ, მაგიდაზე დავაწყვეთ და შევუდექით მის აწყობას, მწერალთა შორის დიდი ღელვა იყო, მოუთმენლად ელოდნენ ფეხების ძვლების აწყობას, რომ შეეტყოთ ფეხის ძვლების იმ ნიშანდობლივ მდგომარეობაზე, რომელიც მას უნდა ჰქონოდა, რადგან ნიკოლოზს ბავშვობისას სკოლის კიბიდან გადმოვარდნის გამო ფეხები დაუშავდა. როდესაც ჩონჩხი ავაწყვე, ნათლად შეიმჩნეოდა მარცხენა ქვედა კიდურის წვივ-კოჭის მიდამოში ძვლების დაკოჟიჟება. როდესაც დამსწრეთ ამის შესახებ მოვახსენე, მათში დიდმა სიხარულმა და კმაყოფილებამ იფეთქა, ეჭვი არ იყო, რომ იგი ჩვენი ძვირფასი პოეტის ნეშტი იყო“.

## „მიყვარს თვალები, მიბნედილები“

**ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის რეკონსტრუქციისთვის, სიტყვიერი და ბიოლოგიური პორტრეტების გარდა, საჭიროა მისი სულის ჩვენება, პიროვნების შეძლებისდაგვარი ფსიქოანალიზი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთ ავსახოთ პოეტის რეალური სახე.**

ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი ახლობლების მოგონებების მიხედვით, ყოფილა მხიარული, ოხუნჯი, ენამოსწრებული და მომლხენი, მაგრამ, როდესაც მის წერილებს ეცნობი, ის მელანქოლიურია და უნაზესი ლირიზმით აღსავსე. ამ თავის „სულით ობლობას“ მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს ანდობდა. ქალთა მხრიდან პოეტის ყველაზე ახლო მეგობარი იყო მისი დედის ბიძაშვილი მაიკო ორბელიანი. ნიკოლოზი უდიდესი მოკრძალებით და სინაზით ეპყრობოდა მაიკოს, თავის „გულის ხვაშიადს“ უზიარებდა. ამ სიყვარულის აღსანიშნავად მაიკოსთვის ნაჩუქარ თავის ლექსების კრებულს შემდეგი წარწერა გაუკეთა: **„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. „ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწვილისათა და შეიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა“. 1842 წლის 31 ოქტომბერს ნიკოლოზი მაიკოს სწერს: „არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით, შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია. მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“**





მაიკო ორბელიანი



ეკატერინე ჭავჭავაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილს სიყვარულშიც არ გაუმართლა. ამ პირველ სიყვარულს, ვინმე ნინოს, რომელიც შეჰყვარებია 1836 წელს, ეძღვნება ლექსები „ჩონგურს“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „აღმოხდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ვპოვე ტაძარი“, „შენი დალალნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“.

1846 წლის 19 იანვარს ლ.მელიქიშვილი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს ნ. ბარათაშვილის შესახებ: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო?“.

იონა მეუნარგიას ცნობით, ნინოსადმი ყოფილა მიძღვნილი ბარათაშვილის ლექსი „მიყვარს თვალები“, რომელიც 1842 წელს არის დაწერილი. „მაშასადამე, ეს ლექსი ან ნიკო ბარათაშვილის პირველ გატაცებას არ ეხება, ანდა არსებობდა კიდევ პირვანდელი ვარიანტი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია“ – წერს ხელთუბნელი. არ არის გამორიცხული, რომ 1836 წელს დაწყებული ტრფიალი ნინოსადმი 1842 წელსაც არ აქვს დავიწყებული პოეტს, იგი „მწარედ იტანჯება“ და სწუხს ამის გამო.

ვინ იყო ნინო?

გიორგი ჯიბლაძე წერს: „ვერავინ იცის, ვერავინ გაარკვია, მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველი ხდება: ლექსში „ღამე ყაბახზედ“, რომელიც 1836 წელს არის დაწერილი, ბარათაშვილს ნათქვამი აქვს, რომ სეირნობის დროს „უეცრად მარჯვნივ“ ქალთა ჯგუფში დაინახა „თეთრკაბიანი“, რომელმაც პოეტს „მიჰხადა სწრაფლად ცნობანი“ და „გრილი გული“ ცეცხლზე უფრო ძლიერად აღუგზნო. ეს ქალი მას ადრეც უნახავს და, შემდეგ აღარ შეხვედრია და მხოლოდ ახლა მოვლენია „კრძალვით ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა“.

ამ შეხვედრის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ამ წარსულს ზაფხულში, ერთ მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმა შუენებამ, სატრფოდ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობა სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლვაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევაც აღვასრულე: მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი“.

ი. ბალახაშვილი წერს: „რადგან პოეტი ყაბახზედ ნანახი ქალის შესახებ ამბობს „პირველ დამასო გულს კაეშანი, ხოლო მელიქიშვილის ცნობის მიხედვით, პოეტის „პირველი სიყვარული იყო ნინო და რომანი ნინოსთან 1836 წლის ზაფხულიდან უნდა ვივარაუდოთ“.

ეს უცნობი ქალი შეიძლება იყოს ფრანგი დელფინა ლაბიელი. პოეტის მეგობარი ლუკა ისარლიშვილის მიხედვით, „უყვარდა ფრანცუზის ბამბაჩნიკის ქალი დელფინა! ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ“.. თუ ამგვარი ლექსი“. დელფინა ლაბიელისთვის მეორე ლექსიც მიუძღვნია, რომელსაც ეწოდება „ასტრა“. ბარათაშვილი ახლად დაწერილ ლექსებს შესაფასებლად ახლობლებს უგზავნიდა. 1838 წლის ივლისის დასაწყისში თავის მეგობარს პოეტ მიხეილ თუმანიშვილს კახეთში გაუგზავნა ბარათი და ახალი ლექსში „ასტრა“. მიხეილ თუმანიშვილმა ამ ლექსს უპასუხა წერილით და საკუთარი ლექსით „ასტრაზედ“. ბარათაშვილმა ლექსი „ასტრას“ ადრესატის ვინაობა არ გაამჟღავნა. 1838 წლის 6 აგვისტოს თბილისიდან მ. თუმანიშვილს სწერს: „მიზანი მიღწეული არ იქნება, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა, ეს ავტორის საიდუმლოებაა... ასე, ჩემო ბატონო! ერთს ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები, მე ამ საღამოს მივდივარ მწყნეთში. რისთვის? იმიტომ რომ ის იქ არის. დედამისმა მთხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იყოს ეს დღეები? ოხ? მაშ მოვკვდი, ბზ!“ ეს ქალი იყო ფრანგი დელფინა ლაბიელი. დიახ, მისთვის მიუძღვნია „ჩემს ვარსკვლავს“ („რად მრისხანებ ჩემის ბედის ვარსკვლავო?“); დელფინა ბერძნული წარმოშობის სახელებს ეკუთვნის და ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს ნიშნავს. ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“ დაკარგულად ითვლება. 1862 წელს ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ლექსი „კ.დ.ჩ“, მკვლევარ ი.ბალახაშვილის მოსაზრებით, მიძღვნილი უნდა იყოს დელფინა ლაბიელისადმი, რადგან ამ ლექსში ლაბიელი „მთიების“ სახელითაა დაქარაგმებული, „ასტრა“ ფრანგული სიტყვაა და „მთიებს“ (ვარსკვლავს) ნიშნავს. ე. ი. პოეტს დელფინა ლაბიელის სახელი დაშიფრული აქვს – ვარსკვლავი – ასტრა – მთიებით.

ქართულ საზოგადოებაში ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულის ისტორია. ნ. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებში ვერსად მივაგენი ამ ფაქტის დამადასტურებელ ცნობას. მხოლოდ მოგვიანებით, ბარათაშვილის პოეზიის მკვლევრები აღნიშნავენ ამ ფაქტს, მგოსნის ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სატრფიალო ლექსებიდან გამომდინარე. მე ვფიქრობ, ეს ისტორია რომანტიკულად გაზვიადებულია, რის გამოც მსურს, დეტალურად შევეხო ამ საკითხს.

ტატო და ეკატერინე ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, თანატოლები იყვნენ, მათი ოჯახები ახლობლობდნენ და ისინი, როგორც იტყვიან, ერთად გაიზარდნენ.

ყმაწვილქალობაში ეკატერინე ყოფილა მეტად მხიარული ხასიათის, კარგი მომღერალი და მოლეკურე. ის შეუყვარდა ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონს (1812-1895), ეკატერინემაც თანაუგრძნო ამ სიყვარულს და სულ მალე, 1835 წელს შემდგარა ნიშნობა. ჯვრისწერისთვის ნებართვის ასაღებად ივანე მუხრანბატონი პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან გამგზავრებულა, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე წინ აღუდგა დანიშნულთა შეუღლებას და ქორწილი ჩაშალა. ქეთევან ორბელიანი გადმოგვცემს: „ივანეს ქალი არ მისცა, თუმცა ეკატერინესაც უყვარდა“.

უარყოფილმა ივანე მუხრან-ბატონმა მაშინვე ნინო ლევანის ასული დადიანის შერთვა გადაწყვიტა და 1836 წლის 15 ოქტომბერს ეს ქალი შეირთო. 1836 წლის 15 ოქტომბერს ზაქარია თბილისიდან ატყობინებს ძმას გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკიმ ლევან დადიანის ქალი შეირთო“.

დარჩა ეკატერინე ჭავჭავაძე გულნატკენი. მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მამის მიზეზით იმედგაცრუებულმა მისმა გულმა აღარავინ გაიკარა. ამ ქორწილის ჩაშლის შემდეგ ეკატერინე ჭავჭავაძის შერთვა სდომებია მასზე ძლიერ შეყვარებულ გიორგი ერისთავს, მაგრამ ეკატერინეს გული ისევ ივანე მუხრან-ბატონს ეკუთვნოდა და გ. ერისთავმა უარი მიიღო.

1838 წლის 18 დეკემბერს შემდგარა ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ნიშნობა. ამ ნიშნობას საინტერესო ამბავი უძღვის დავით დადიანის მხრიდან.

სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე დავით ლევანის ძე დადიანი (1813–1853) თბილისში ჩამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში. მას შეყვარებია ლუარსაბ ორბელიანის ასული ელენე და უარი განუცხადებია 1823 წელს დანიშნულ დურუხანის შერთვაზე, რომელიც იყო სვანეთის მთავრის ციოყ მურზაყანის ძე დადეშქელიანის და. სამეგრელოსა და სვანეთს შორის სისხლისღვრამდე მისულა საქმე. ლევან დადიანი ფიცს აძლევს დადეშქელიანს, რომ დავითის ცოლი გახდება დურუხანი. ამ საქმეში ჩაერია მთავარმართებელი როზენი და დაავალა თბილისის პოლიცმეისტერ ფალავანდიშვილს, აეძულებინა ლუარსაბ ორბელიანის ოჯახი სოფლად წაეყვანათ თავისი ქალიშვილი და თვალი ედევნებინათ, რომ დავითს არ შეხვედროდა. დავით დადიანი როზენმა მრავალი ჩინით და ორდენით დააჯილდოვა. დურუხანი დავითს ჩამოაცილეს, მაგრამ არც ელენე შერთეს. 1836 წლის დასაწყისში ზაქარია გიორგის ძე ერისთავმა ცოლად მოიყვანა ელენე ორბელიანი. ეს ამბავი დავით დადიანმა რომ გაიგო, შეეცადა ჯვრისწერის ჩაშლას; მიუხედავად ამისა, 1836 წლის 10 ივლისს ზაქარიამ იქორწინა ელენე ორბელიანზე. დავით დადიანი შეეცადა ამ ქორწინების გაუქმებას, მაგრამ ვერ შესძლო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №99-100, 101-102, 103-104, 105-106, 107-108

ქართული ატიპური ჟურნალისტიკა

**ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ქართულ მედიასივრცეში საკმაოდ საინტერესო და უჩვეულო მოვლენა ჩამოყალიბდა. თუ ქვეყნის შესახებ წარმოდგენას მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციური ტელეარხისა და მედიაპლატფორმის ეთერებითა და პუბლიკაციებით შევიქმნით, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩეს, თითქოს 2020 წლიდან საქართველო უწყვეტი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატასტროფის რეჟიმში ცხოვრობს.**



# „კატასტროფა“...

**თუმცა ამავე რედაქციების არქივები სხვა სურათსაც გვიჩვენებს: ისინი ხანდახან ავრცელებდნენ ინფორმაციას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, საერთაშორისო ავიამიმოსვლის გაფართოების, მსხვილი საინვესტიციო პროექტებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ. შესაბამისად, მთავარი შეკითხვა უკვე ის აღარ არის, არსებობდა თუ არა პოზიტიური მოვლენები, არამედ ის, თუ როგორ გარდაიქმნება ეს მოვლენები საინფორმაციო პროდუქტად.**

ამ სარედაქციო მოდელის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება ის არის, რომ პრაქტიკულად არცერთი დადებითი ფაქტი არ არსებობს დამოუკიდებლად. მას თითქმის ყოველთვის ახლავს ისეთი პოლიტიკური ინტერპრეტაცია, რომელიც ამ ფაქტს დამოუკიდებელ ღირებულებას წინასწარ აკარგვინებს. ეკონომიკური ზრდა აიხსნება მხოლოდ გარე ფაქტორებით, ინფრასტრუქტურული პროექტები – ხელსაყრელი საერთაშორისო კონიუნქტურით; დიპლომატიური წარმატებები – მხოლოდ უცხოელი პარტნიორების დამსახურებად ცხადდება, ხოლო სახელმწიფოს ნებისმიერი მიღწევა – შემთხვევითობად ან იმ პროცესების შედეგად წარმოჩნდება, რომლებთანაც ხელისუფლებას, თითქოს, საერთო არაფერი აქვს. ფაქტი ფორმალურად დასტურდება, მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა იმავე წამს ნეიტრალდება და უფასურდება.

ასეთი მიდგომა უკვე ძნელად შეიძლება კლასიკურ კრიტიკულ ჟურნალისტიკად შეფასდეს. პროფესიული ჟურნალისტიკა ერთნაირი ყურადღებით აფასებს როგორც ხელისუფლების შეცდომებს, ისე მის წარმატებებს. სწორედ ეს ბალანსი განასხვავებს დამოუკიდებელ რედაქციას პოლიტიკური ანგაჟირებულობისგან. როდესაც წინასწარ ცნობილია, რომ ნებისმიერი დადებითი ამბავი საბოლოოდ აუცილებლად ნეგატიურ შეფასებამდე უნდა მივიდეს, ბუნებრივად ჩნდება განცდა, რომ საქმე აღარ გვაქვს სიმართლის ძიებასთან – უფრო მეტად წინასწარ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტების მოძიებასთან.

არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ ანალოგიური მიდგომა თითქმის არასოდეს ვრცელდება ოპოზიციის საქმიანობაზე. ხელისუფლების შეცდომები სისტემურ პრობლემად და მისი სრული უუნარობის მტკიცებულებად წარმოჩნდება, მაშინ, როდესაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსების შეცდომები გაცილებით ხშირად აიხსნება გარე გარემოებებით, ხელისუფლების ზემოქმედებით, სისტემის ნაკლოვანებებით ან მესამე მხარის მოქმედებებით. ასეთი ასიმეტრია თავისთავად იქცევა სარედაქციო პოზიციად, მაშინაც კი, როდესაც მას კვლავ „ობიექტურ ჟურნალისტიკას“ უწოდებენ.

განსაკუთრებით საინტერესოა ეს კონტრასტი საერთაშორისო შეფასებების ფონზე, როდესაც ფინანსური ინსტიტუტები, სარეიტინგო სააგენტოები და ოფიციალური სტატისტიკური სამსახურები – სახელმწიფო ფინანსებს, ეკონომიკურ ზრდას, საინვესტიციო გარემოსა და სახელმწიფო ვალს აფასებენ გაზომვადი მაჩვენებლების საფუძველზე და არა პოლიტიკური სიმპათიებით. ამ შეფასებებზე შეიძლება მსჯელობა და კამათი, მაგრამ მათი სრული უგულებელყოფა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ქართული მედიასივრცის ერთ ნაწილში პარადოქსული ვითარება ყალიბდება – რაც უფრო მეტ პოზიტიურ დინამიკას აჩვენებს ობიექტური მაჩვენებლები, მით უფრო აქტიურად ცდილობენ აუდიტორიის დარწმუნებას, რომ სინამდვილეში არაფერი კარგი არ ხდება.

**ამის შედეგად ყალიბდება ერთგვარი პარალელური საინფორმაციო რეალობა, რომელიც ქვეყნის ნამდვილ ცხოვრებას სულ უფრო შორდება. ამ სინამდვილეში ახალი საწარმოს გახსნა უმნიშვნელო ეპიზოდია, ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება – შემთხვევითობა, ეკონომიკური ზრდა – სტატისტიკური ილუზია, ხოლო საერთაშორისო წარმატება – მხოლოდ სხვისი დამსახურება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი უკვე მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აღარ არის, არამედ ის, თუ რამდენად ერგება წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ ნარატივს.**

**რა თქმა უნდა, არავინ მოითხოვს, რომ მედია ხელისუფლების PR-სამსახურად გადაიქცეს. დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს დამოუკიდებელი, კრიტიკული და პრინციპული ჟურნალისტიკის გარეშე. თუმცა, ასევე შეუძლებელია ნამდვილად დამოუკიდებელ მედიაზე საუბარი მაშინ, როდესაც ხელისუფლების ნებისმიერი წარმატების აღიარება პოლიტიკურ კაპიტულაციად აღიქმება. თუ რედაქცია ფსიქოლოგიურადაც კი ვერ ახერხებს აშკარა დადებითი შედეგის აღიარებას, პრობლემა თანდათან პოლიტიკურიდან პროფესიულ სფეროში გადადის.**

სწორედ ამიტომ, მთავარი შეკითხვა დღეს სულაც არ არის ის, ცხოვრობდა თუ არა საქართველო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უწყვეტი „არმაგედონის“ პირობებში. სტატისტიკა, საერთაშორისო შეფასებები და რეალური პროცესები გაცილებით რთულ და მრავალფეროვან სურათს გვთავაზობს.

**მთავარი შეკითხვა სხვაა: შეიძლება თუ არა ჟურნალისტიკას ობიექტური ვუწოდოთ, თუ მკითხველმა ან მაყურებელმა საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ პირველი წინადადების წაკითხვამდე იცის – თუ პასუხი წინასწარ არის განსაზღვრული და ფაქტებზე აღარ არის დამოკიდებული, მაშინ იცვლება არა მხოლოდ ჟურნალისტიკის ხარისხი, არამედ მისი არსიც – იგი თანდათან წყვეტს რეალობის კვლევის ინსტრუმენტად ყოფნას და სულ უფრო მეტად პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმად იქცევა.**

**დავით ქართველიშვილი**

# საწვავის გაძვირების ახალი ტალღა აგორდა!

**მსოფლიო და საქართველოც საწვავის გაძვირების მორიგ ეტაპს გადის. ყველგან რთული და ბუნდოვანი ვითარებაა. ერთია, რომ ფასი მაღლა მიდის, მაგრამ უკვე გამოიკვეთა, რომ შეიძლება საწვავის დეფიციტმაც იჩინოს თავი.**

**საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის ინფორმაციით, საავიაციო საწვავის საშუალო ფასი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 63%-ით არის გაზრდილი. საავიაციო საწვავის ფასები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ავიაციის ინდუსტრიაზე, ვინაიდან საწვავის ხარჯი ავიაკომპანიების მთლიანი საოპერაციო დანახარჯების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპონენტია.**

**რეგიონების მიხედვით ვითარება ასე ნაწილდება:**

**ევროპა** – საავიაციო საწვავის საშუალო ფასმა ბარელზე 151 დოლარი შეადგინა. ფასი წინა კვირასთან შედარებით, 8%-ით შემცირდა, თუმცა გასულ წელთან შედარებით, 66%-იან ზრდას აჩვენებს (წლიობრივი მაჩვენებელი გლობალურ ინდექსში – 28%).

**ჩრდილოეთ ამერიკა** – ბარელი საწვავის საშუალო ღირებულება 147 დოლარია. ფასი წინა კვირასთან შედარებით, 7%-ით შემცირდა, ხოლო წინა წელთან შედარებით, 60%-ით არის გაზრდილი.

**აზია და ოკეანეთი** – ერთი ბარელი საავიაციო საწვავის ფასი 141 დოლარს შეადგენს, რაც წინა კვირის მაჩვენებელზე 6.7%-ით ნაკლებია, ხოლო წინა წლისას 63%-ით აღემატება.

**ახლო აღმოსავლეთი** – საწვავის საშუალო ფასი ბარელზე 139 დოლარია, რაც წინა კვირასთან შედარებით, 7%-ით ნაკლებია, ხოლო წინა წელთან შედარებით, 66%-ით მეტია.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ივლისის დასაწყისში ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში საწვავი მნიშვნელოვნად გაძვირდა. ამაზე გავლენა იქონია, როგორც ახლო აღმოსავლეთში არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, ასევე ცალკეულ სახელმწიფოებში გარკვეული საგადასახადო შეღავათების მოქმედების დასრულებამ. ბენზინისა და დიზელის საწვავის ღირებულების ფორმირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: ნავთობის მსოფლიო ფასები; ნავთობპროდუქტების გადამუშავების ღირებულება; ტრანსპორტირების ხარჯები; აქციზებისა და გადასახადების ოდენობა; საწვავზე არსებული მოთხოვნა; საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ბაზარზე მცირე ცვლილებებიც კი სწრაფად აისახება სხვადასხვა ქვეყნის საწვავის ფასზე.

იგივე ვითარებაა საქართველოშიც. აგვისტოში საწვავი ისევ გაძვირდა. საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდის ფონზე, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ადგილობრივ ქსელში ბენზინისა და დიზელის ღირებულება 4-15 თეთრით გაიზარდა.

შექმნილ ვითარებასა და ფასების რყევას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვახტანგ იოგაშვილი** საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს უკავშირებს. მისი თქმით, სანავთობე ბაზრებზე ჯერჯერობით არანაირი სტაბილურობა არ შეინიშნება.



**„მშვიდობა ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისთვის სტაბილურობის მთავარი გარანტიაა, თუმცა სანავთობე ბაზრებზე დღეს არანაირი სტაბილურობა არ გვაქვს. დღეს შეიძლება გაჩნდეს სტაბილიზაციისკენ მოძრაობის იმედი, მაგრამ ხვალ ისევ არასტაბილურ სიტუაციებს ვუბრუნდებით. ეს ყველაფერი, თავისთავად, დაკავშირებულია ამერიკა-ირანის ურთიერთობებთან, ჰორმუზის სრუტეში არსებულ მდგომარეობასთან და საერთო სიტუაციასთან მთელ მსოფლიოში, რადგან მშვიდობას პირი არ უჩანს“** – განაცხადა **ვახტანგ იოგაშვილმა.**

**„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროპაში სტაბილური ვითარებაა, ცდება. ევროპულ ქვეყნებში საწვავი დღეს ძალიან ძვირია. გარდა ამისა, ევროპისთვის ძალიან სასურველი და მოხმარებადი პროდუქტი გახდა თხევადი აირი. უკვე საზღვაო ტრანსპორტი – ოკეანის გემები, ასევე ავტობუსები და სატვირთო მანქანები მასობრივად გადადიან თხევად აირზე. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ენერგეტიკა აირია, ეს დეფიციტი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა“!**

საერთაშორისო ბირჟებზე არსებული მოლოდინები, ამ ეტაპზე, კვლავ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რჩება დამოკიდებული, რაც პირდაპირ აისახება ყველა რეგიონის და მათ შორის, ქართულ ბაზარზეც.

**ბექა დანელია**

# „საიდუმლო მარშრუტი“, რომლის მეშვეობით რუსეთი და ირანი ერთმანეთს ეხმარებიან“




**– ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ (The Daily Telegraph) 14 აგვისტოს ნომერში სტატია, რომელშიც ავტორი – აშშ-ის ჯეიმსთაუნის ფონდის ექს-ხელმძღვანელი გლენ ჰოვარდი – მოსკოვ-თეირანის კავშირებისათვის კასპიის ზღვის მნიშვნელობაზე მსჯელობს.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Daily Telegraph

**მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2022 წელს უკრაინასთან ომი დაიწყო, ირანი რუსეთის უმნიშვნელოვანეს მოკავშირედ გადაიქცა. რუსეთმა თითქმის შეუმჩნევლად გააფართოვა მარშრუტი ირანისაკენ (და პირიქით) კასპიის ზღვის მეშვეობით. ეს ლოჯისტიკური დერეფანი, რომელსაც ზოგიერთებმა უკვე „კასპიის ექსპრესი“ უწოდეს, მოსკოვსა და თეირანს შორის თანამშრომლობის საფუძველი გახდა – მარშრუტი ორივე ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, რომ გვერდი აუარონ აშშ-ის საზღვაო ზეწოლას სპარსეთის ყურეში.**

კასპიის ზღვა პლანეტის შიდა ზღვებს მიეკუთვნება, ანუ ისეთ წყალსატევებს, რომლებთაც მსოფლიო ოკეანესთან გასასვლელი არ აქვთ. რუსეთმა კასპიის ზღვა ირანთან ეკონომიკური ურთიერთობის საბაზო სატრანსპორტო ობიექტად გადააქცია. კრემლის ამ ნაბიჯის სტრატეგიული შედეგები სულ უფრო მეტად იკვეთება იმ ომის კვალობაზე, რაც ახლო აღმოსავლეთში ღვივდება – „მესამე მსოფლიო ომი სპარსეთის ყურეში“.

ისრაელის ავიაციამ რამდენჯერმე მიაყენა ავიადარტყმა ბენდერ-ენზელს – ირანის სამხედრო-საზღვაო ბაზას კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე – და რამდენიმე სამხედრო კატერი და სანავსადგურო ნაგებობა გაანადგურა. ეს იყო ისრაელის ავიაციის პირველი ოპერაცია კასპიის რეგიონში. გასული თვის ბოლოს კი ისრაელს უკრაინაც დაემატა: უკრაინულმა დრონმა კასპიის ზღვაში მცურავი ირანის სავაჭრო გემი დააზიანა, რის შედეგადაც ერთი მეზღვაურიც დაიღუპა. თეირანი რამდენიმე დღე ფიქრობდა საპასუხო დარტყმა მიეყენებინა ოდესისათვის [ბალისტიკური რაკეტებით], მაგრამ, როგორც ჩანს, სიტუაციის გამწვავებას თავი აარიდა.

**კასპიის ზღვაზე ირანს ოთხი ნავსადგური აქვს, რომლებიც ბოლო თვეებში დღედაღამ შეუსვენებლივ მუშაობენ და მარცვლეულის და ნავთობის სატვირთო სამუშაოებს აწარმოებენ – ჰორმუზის სრუტის ბლოკადის გამო თეირანმა თავისი სავაჭრო ოპერაციების ძირითადი ნაკადი შიდა ზღვისაკენ გადაამისამართა.**

კასპიის ჩრდილოეთ ნაპირზე, რუსეთში, საკვანძო სატრანზიტო საზღვაო პუნქტი გახდა ნავსადგური ოლია, რომელიც მდინარე ვოლგის დელტაში, ასტრახანის ოლქში მდებარეობს. ანუ კასპიის ზღვა ამჟამად ორივე ქვეყნისთვის მომარაგების შეუცვლელი არხი გახდა. ისტორიის ირონიად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ „სპარსეთის დერეფანი“ აქტიურად გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის დროსაც: კასპიის ზღვის აკვატორიისა და მისი სახმელეთო ნაპირის გასწვრივ შედიოდა სსრ კავშირში ამერიკული ტვირთების დიდი მოცულობა – „ლენდ-ლიზის“ პროექტით – ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში დასახმარებლად.

**დღეს მოსკოვი ამ ისტორიულ დერეფანს სულ უფრო აქტიურად იყენებს. ათწლეულების განმავლობაში მოსკოვი კასპიის ზღვას მიუდგომელ ბასტიონად თვლიდა. სწორედ ასტრახანის ოლქში მდებარე კაპუსტინ-იარის სარაკეტო პოლიგონიდან იქნა გაშვებული რაკეტა „ორეშნიკი“ უკრაინისაკენ.**

იმდენად, რამდენადაც კასპიის ზღვა მსოფლიო ოკეანეს არ უკავშირდება, აშშ-ს როგორც საზღვაო სახელმწიფოს, არანაირად არ შეუძლია ხელი შეუშალოს რუსეთს და ირანს ერთმანეთთან ტვირთბრუნვაში. თეირანისა და მოსკოვის ვაჭრობა ჰორმუზის სრუტის გავლით რომ ხდებოდეს, რომლის შესასვლელი ამერიკას თავისი ავიამზიდებით და სხვა სამხედრო ხომალდებით გადაკეტილი აქვს, მაშინ, რა თქმა უნდა, ვაშინგტონი ზომებს მიიღებდა, მაგრამ თეთრი სახლი ახლა ვერაფერს იზამს. ეს გეოგრაფიული რეალობა პირდაპირ ახდენს გავლენას მოსკოვის ფართო გეოპოლიტიკურ გეგმებზე, რომლებშიც კასპიის ზღვას საკვანძო როლი აქვს დაკავებული „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო სტრატეგიულ დერეფანში, რომელიც რუსეთს, აზერბაიჯანს, ირანს და საბოლოო ჯამში, ინდოეთს აკავშირებს (ომამდე) და გვერდს უვლის დასავლეთის საზღვაო ბარიერებს.

**ამრიგად, მოსკოვი და თეირანი პრაქტიკულად, ცხოვრებაში ახორციელებენ ცნობილი ბრიტანელი გეოგრაფის ჰელფორდ მაკინდერის თეორიას „ჰარტლენდის“ (საყრდენი ზონის) შესახებ – სახმელეთო-საზღვაო დერეფნის სახით ევრაზიის შუაგულში, რომელსაც იგი „ისტორიულ ღერძს“ უწოდებდა. სახეზეა კონტინენტური ლოჯისტიკური ქსელი, შიდა ზღვის ჩათვლით, რომელსაც მსოფლიო ოკეანეში გასასვლელი არ ჭირდება და რომელიც დასავლეთის ძლიერებას ძირს უთხრის.**

ახლო აღმოსავლეთში ირან-ამერიკული კონფლიქტის გაფართოების კვალობაზე დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია დილემის წინაშე დგას: შეეცადოს თუ არა თეთრი სახლი „კასპიის ექსპრესის“ შეჩერებას, სანამ ის რუსეთ-ირანის პარტნიორობაში მტკიცე ლოჯისტიკურ საფუძვლად არ გადაქცეულა?

აშშ-მა უკვე მოამზადა გარკვეული დიპლომატიური ფუნდამენტი, როცა მხარი დაუჭირა სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო შეთანხმებას და „დონალდ ტრამპის მარშრუტი“ გახსნა. ახლა მან წარმატება უნდა განავითაროს, შეიმუშაოს ისეთი რეგიონული სტრატეგია, რომელიც აზერბაიჯანს განმტკიცების პროცესში მყოფ „საშუალო“ ლიდერად გადააქცევს სამხრეთ კავკასიაში. [გარდა ამისა, კიევ-ბაქოს კავშირებისადმი ხელშეწყობით] აშშ უკრაინას დაეხმარება ზეწოლა მოახდინოს „კასპიის ექსპრესზე“, თეთრი სახლის პირდაპირი ჩარევის რისკის გარეშე.

**ისტორია გვასწავლის, რომ ომები საკმაოდ ხშირად მთავრდება არა იმდენად ბრძოლის ველზე, რამდენადაც მომარაგების გზებზე. „კასპიის ექსპრესი“ უკვე გახდა რუსეთ-ირანის სტრაგიული პარტნიორობის საფუძველი და ამით თეირანს იმედი მიეცა აშშ-სთან ომი „გადაიტანოს“, რომელიც უკვე მეექვსე თვეა გრძელდება. დარჩება თუ არა „კასპიის ექსპრესი“ ირანისათვის მოსკოვთან დამაკავშირებელ „სიცოცხლის გზად“ თუ საბოლოო ჯამში კრახს განიცდის – ეს დამოკიდებული იქნება ვაშინგტონზე, შეიმუშავებს თუ არა თეთრი სახლი ისეთ რეგიონულ სტრატეგიას, რომელიც ჩაკეტავს „სპარსულ დერეფანს“ და ჩაშლის რუსეთის ძალისხმევას ირანისადმი სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებაში.**



თარგმნა
**სიმონ კილაძემ**

# დონალდ ტრამპი: მალე ჰორმუზის სრუტეს ამერიკის ტერიტორიად გამოვაცხადებ!




**ირანის დამარცხების შემდეგ, ჰორმუზის სრუტეს მალე ამერიკის ტერიტორიად გამოვაცხადებ,** „ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** ნიუ იორკში, პოლიციის აკადემიის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ვაშინგტონმა სრუტეში ბლოკადა დააწესა და ვერცერთი გემი ვერ გადის, ვიდრე ეს აშშ-ის სურვილი არ იქნება.

**„მას შემდეგ, რაც ირანს დავამარცხებთ, რომელიც ძალიან მძიმედ მარცხდება, მალე ჰორმუზის სრუტეს შეერთებული შტატების ტერიტორიად გამოვაცხადებ“,** „აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ტრამპის განცხადებით, მან შექმნა სამხედრო ძალები და იმაზე მეტჯერ გამოიყენა, ვიდრე ეს სურდა, თუმცა, მისი თქმით, ვერ დაუშვებდა, რომ ირანს ბირთვული იარაღი ჰქონოდა. ტრამპმა ირანს მსოფლიოში ტერორის ნომერი პირველი სპონსორი ქვეყანა უწოდა.

# ევროკავშირის წევრობა ანკარასთვის პრიორიტეტი აღარ არის!



**„ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა „ალ ჯაზირასთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

მისი თქმით, ევროკავშირის რიგებში თურქეთის არყოფნით ევროპა იქნება წაგებული.

**„როგორც ჩანს, ევროკავშირს არ სურდა თურქეთის მიღება“,** „აღნიშნა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისგან F-35-ის ტიპის გამანადგურებლებთან დაკავშირებით დაპირება მიიღო და მის შესრულებას ელოდება.



# ევროპის სტრატეგიული მახე: შავი ზღვის ომი და ახალი ევრაზიული წესრიგი

**ნავსადგურები უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე პოლიტიკური დეკლარაციები. სავაჭრო დერეფნები სამხედრო მიზნებად იქცევიან. სადაზღვევო ბაზრები გეოპოლიტიკური ძალაუფლების შეფასებას იწყებენ. ერთი კონკრეტული ისტორიული პერიოდისთვის შექმნილი ალიანსები კი უშედეგოდ ცდილობენ შეეგუონ მომდევნოს.**

**ამ პერსპექტივიდან დანახული უკრაინის ომი მხოლოდ კონფლიქტი აღარ არის მოსკოვსა და კიევს შორის. ის იქცა მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც შავი ზღვის, ევროპისა და უფრო ფართო, ევრაზიის კონტინენტის უსაფრთხოების არქიტექტურის რეორგანიზაცია მიმდინარეობს. შესაბამისად, გადამწყვეტი შეკითხვა აღარ არის უბრალოდ ის, თუ ვინ გააკონტროლებს მორიგ ქალაქს ან რომელ მხარეს შეუძლია მორიგი ტაქტიკური წარმატების მიწერა. შეკითხვა ისაა, თუ ვინ ჩამოაყალიბებს იმ პოლიტიკურ, კომერციულ და სამხედრო გეოგრაფიას, რომელიც ამ ომს გადაურჩება. ევროპა უკეთესად მომზადებული ჩანს კონფლიქტის მართვისთვის, ვიდრე იმ წესრიგისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, ომის შემდეგ დამყარდება.**

## შავი ზღვა, როგორც სიმძიმის ცენტრი

**საჯარო დისკუსიის დიდი ნაწილი კვლავ ბრძოლის ველის მაჩვენებლებზეა კონცენტრირებული: დაკავებული ტერიტორიები, გაშვებული დრონები, რაკეტები და მსხვერპლი. ეს ინდიკატორები აღწერენ ომს, მაგრამ ისინი სრულად ვერ ხსნიან მის სტრატეგიულ არსს. კონფლიქტი სულ უფრო მეტად ეხება წვდომას.**

შავი ზღვა აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის სამრეწველო და აგრარულ რეგიონებს ხმელთაშუა ზღვასა და გლობალურ ბაზრებთან აკავშირებს. მისი პორტები, საზღვაო გზები, მილსადენები და საზღვაო სრუტეები ეკონომიკურ სისტემას ქმნის, რომლის სამხედრო ძალისგან განცალკევება შეუძლებელია. როგორც კი კომერციული გემები, პორტის ობიექტები და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა რეგულარული თავდასხმის ობიექტი ხდება, ზღვარი სამოქალაქო და სამხედრო გეოგრაფიას შორის ქრება. სახელმწიფოები, რომელთა კეთილდღეობაც საზღვაო სტაბილურობაზეა დამოკიდებული, კონფლიქტში მაშინაც კი ებმებიან, როდესაც პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ცდილობენ. უკრაინულმა დრონებმა იერიში მიიტანეს თურქეთის მფლობელობაში არსებულ, კამერუნის დროშით მცურავ სატვირთო გემ Nadezhda-ზე, ნოვოროსიისკიდან დაახლოებით 20 საზღვაო მილის დაშორებით, როცა მას ბოსტნეული და ხილი სამსუნში გადაჰქონდა. ეს ინციდენტი შავ ზღვაში კომერციულ გემებზე განხორციელებული თავდასხმების ნაწილია, რამაც თურქეთს უსაფრთხო ნავიგაციისკენ მოწოდებისკენ უბიძგა.

კომერციულ ნაოსნობაზე ბოლო დროს განხორციელებულმა თავდასხმებმა უკვე გამოიწვია უშუალო ომის ზონის მიღმა მყოფი მთავრობების პროტესტი. მაგალითად, ინდოეთმა საჯაროდ დაგმო შავ ზღვაში სავაჭრო გემებსა და მეზღვაურებზე თავდასხმები, როგორც მიუღებელი ფაქტი, რაც იმის ილუსტრაციაა, თუ როგორ ზრდის კონფლიქტის საზღვაო შედეგები მის დიპლომატიურ მასშტაბებს. ამრიგად, შავი ზღვა აღარ არის უპირატესად სახმელეთო ომის პერიფერიული საზღვაო თეატრი. ის კონფლიქტის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ხდება.

## უკრაინის პრობლემა ეკონომიკური გეოგრაფიაა

**უკრაინის გრძელვადიანი მოწყვლადობა ვერ დაიყვანება მხოლოდ ცოცხალ ძალამდე, საბრძოლო მასალამდე ან ფრონტის ხაზის გადაადგილებამდე. ეს ასევე ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემაა.**

დიდ სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო ზემოქმედებას გაუძლოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თუ ის ინარჩუნებს სამრეწველო სიმძლავრეს, საიმედო საგადასახადო სისტემას, ფუნქციონირებად სატრანსპორტო ქსელებსა და წვდომას საგარეო ბაზრებზე. როდესაც ეს სისტემები სისტემატურად ზიანდება, გადარჩენა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო დაფინანსებაზე.

საზღვაო ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საზღვაო ტრანსპორტს დიდი რაოდენობით საქონელი ბევრად უფრო ეფექტურად გადააქვს, ვიდრე სახმელეთო ალტერნატივების უმეტესობას. რკინიგზას, საავტომობილო ტრანსპორტს, მდინარის ბარჟებსა და მეზობელ პორტებს შეუძლიათ შეამცირონ შეფერხებები, მაგრამ მათ ყოველთვის არ შეუძლიათ აღადგინონ მსხვილ საზღვაო პორტებთან უსაფრთხო წვდომის სიმძლავრე, სიჩქარე ან ხარჯების სტრუქტურა.

თუ უკრაინის საზღვაო გასასვლელი არასაიმედო გახდება ან დაიკარგება, შედეგები დაგროვდება: ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები შემცირდება, იმპორტი გაძვირდება, გაიზრდება დაზღვევისა და ფრახტის ხარჯები. უცხოური ინვესტიციები უფრო დიდ რისკ-პრემიებს მოითხოვს. რეკონსტრუქცია სულ უფრო მეტად გახდება დამოკიდებული გარე მთავრობებსა და კრედიტორებზე.

ევროკავშირმა უკრაინის დასახმარებლად უკვე შექმნა უზარმაზარი ფინანსური არქიტექტურა. მისი მიმდინარე მხარდაჭერის მექანიზმი 2026-2027 წლებისთვის 90 მილიარდი ევროს ოდენობის სესხის პაკეტს მოიცავს, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: დაახლოებით 60 მილიარდი ევრო თავდაცვით შესყიდვებს მოხმარდება, ხოლო 30 მილიარდი – პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებას. პირველი ტრანშები, მათ შორის დრონების შესაძენად განკუთვნილი თანხები, 2026 წლის ივნისში უკვე გაიცა.

ეს ფინანსური ვალდებულებები, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების შესანარჩუნებლად, თუმცა ისინი ვერ შეცვლიან გეოგრაფიულ რეალობას. სესხებით შესაძლებელია იმპორტის დაფინანსება, მაგრამ ისინი ვერასდროს ჩაანაცვლებენ გამართულ, კონკურენტუნარიან საექსპორტო ეკონომიკას. საბიუჯეტო დახმარება ინარჩუნებს საჯარო სერვისებს, თუმცა ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო სავაჭრო დერეფნებს, მწარმოებლურ ინფრასტრუქტურასა და შიდა შემოსავლებს.

სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ოდესის, დუნაის მარშრუტების, კონსტანცასა და დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნების სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს არ არის მხოლოდ ლოგისტიკური დეტალები – ეს მარშრუტები პირდაპირ განსაზღვრავენ, რამდენად შეძლებს უკრაინა ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებას. საბოლოო ჯამში, საზღვაო გზებზე წვდომისთვის ბრძოლა შესაძლოა ისეთივე გადამწყვეტი აღმოჩნდეს, როგორც ბრძოლა ტერიტორიებისთვის.

## თურქეთი ახალ წესრიგს აბალანსებს და არა უბრალოდ ომს

**ამ ახალ გეოპოლიტიკურ სისტემაში თურქეთს ცენტრალური პოზიცია უკავია. ის ერთდროულად არის შავი და ხმელთაშუა ზღვების სახელმწიფო, NATO-ს წევრი, რუსეთის მსხვილი სავაჭრო პარტნიორი, უკრაინისთვის სამხედრო ტექნოლოგიების მიმწოდებელი და ქვეყანა, რომელიც სულ უფრო მეტად მიისწრაფვის სტრატეგიული ავტონომიისკენ.**

მისი წონა მხოლოდ სამხედრო მასშტაბით არ განისაზღვრება – ის, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარეობს. თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის ერთადერთ გასასვლელს. ამასთან, ის ევროპის, რუსეთის, კავკასიის, ლევანტისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს. NATO და ევროპელი ოფიციალური პირები თურქეთს კვლავ აღიქვამენ ალიანსის ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე გავლენიან სამხედრო ძალად. 2026 წლის ივლისში NATO-ს გენერალურმა მდივანმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა საჯაროდ გაუსვეს ხაზი თურქეთის საკვანძო როლს ალიანსში და მის პოტენციალს ევროპის თავდაცვით-სამრეწველო პროგრამებში.

მიუხედავად ამისა, ანკარა რეგიონულ მოვლენებს სულ უფრო ხშირად აფასებს საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და არა ალიანსის ავტომატური დისციპლინით. ეს არ ნიშნავს NATO-ს დატოვებას; ეს ნიშნავს, რომ ალიანსის წევრობა თურქეთისთვის აღარ გულისხმობს საკუთარი სტრატეგიის სრულ დაქვემდებარებას.

თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს უკრაინასთან და პარალელურად ინარჩუნებს სამუშაო ურთიერთობებს რუსეთთან. ის ზოგ ასპარეზზე კონკურენციას უწევს მოსკოვს, ზოგან კი მასთან თანამშრომლობს; რჩება NATO-ს წევრად, მაგრამ ერთდროულად ავითარებს დამოუკიდებელ თავდაცვის ინდუსტრიას და საკუთარ რეგიონულ წესრიგს აყალიბებს. სანამ ომის პირდაპირი ხარჯები ძირითადად უკრაინასა და რუსეთზე მოდიოდა, ანკარას ამ ბალანსის შენარჩუნება შედარებით იოლად შეეძლო. თუმცა, ვითარება რთულდება, როდესაც საფრთხე ექმნება თურქულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ კომერციულ გემებს, იზრდება საზღვაო დაზღვევის ფასი ან შავი ზღვის არასტაბილურობა პირდაპირ ურტყამს მის შიდა ეკონომიკას.

ამ ეტაპზე კონფლიქტი ანკარისთვის აღარ არის უბრალოდ დიპლომატიურად მართვადი პროცესი – ის ხდება ფაქტორი, რომელიც უშუალოდ თურქულ სამხედრო დოქტრინას აყალიბებს. თურქეთის პასუხი არ იქნება რომელიმე მეომარ მხარესთან ავტომატური ალიანსი. მისი პასუხია: მეტი ავტონომია! მეტი საზღვაო ძალები, მეტი სადაზღვევო და მეთვალყურეობის სისტემები, საკუთარი წარმოების რაკეტები და უპილოტო აპარატები, მეტი კონტროლი მიმდებარე სავაჭრო მარშრუტებზე და ნაკლები დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოების გარანტიებზე. ამრიგად, თურქეთი უბრალოდ კი არ აბალანსებს რუსეთს NATO-ს საპირწონედ, არამედ ემზადება ისეთი რეგიონული სისტემისთვის, სადაც მისი ინტერესების უსაფრთხოებას გარედან ვერავინ უზრუნველყოფს.

## NATO-ს ტრანსფორმაცია

**თურქეთის ქცევა NATO-ს შიგნით მიმდინარე უფრო ღრმა ცვლილებებს ააშკარავებს. ალიანსი შეიქმნა ეპოქაში, როდესაც წევრებს საერთო, მკაფიოდ გამოკვეთილი მოწინააღმდეგე ჰყავდათ. შიდა უთანხმოებების დროსაც კი, საბჭოთა კავშირის არსებობა ალიანსს საერთო სტრატეგიულ მიზანს ანიჭებდა.**

ცივი ომის შემდეგ ალიანსის სტრუქტურა გართულდა: აშშ სულ უფრო მეტად არის კონცენტრირებული ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში გრძელვადიან კონკურენციაზე; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უსაფრთხოების მთავარ საფრთხედ კვლავ რუსეთს მიიჩნევენ; ხოლო სამხრეთ ევროპის ყურადღებას მიგრაცია, ჩრდილოეთ აფრიკა და ხმელთაშუა ზღვის არასტაბილურობა იპყრობს.

თურქეთი კი გავლენის გაფართოებას ცდილობს შავ ზღვაში, კავკასიაში, სირიაში, ცენტრალურ აზიაში ხმელთაშუაზღვისპირეთში. ეს ინტერესები ნაწილობრივ ემთხვევა მოკავშირეებისას, თუმცა იდენტური არ არის.

ასეთ პირობებში NATO-ს შეუძლია ფუნქციონირების გაგრძელება, მან შესაძლოა გაზარდოს კიდეც სამხედრო ბიუჯეტები და აქტივობები, თუმცა მისი შინაგანი ბუნება იცვლება. ის ნაკლებად ჰგავს ერთიანი დიდი სტრატეგიის გარშემო გაერთიანებულ პოლიტიკურ ერთობას და უფრო მეტად ემსგავსება ჩარჩოს, სადაც სახელმწიფოები ცალკეული ინტერესების კოორდინაციას იყენებენ და ამავდროულად მოქმედების ავტონომიას ინარჩუნებენ.

თურქეთი NATO-ს მომავლის გამონაკლისი კი არ არის, არამედ, შესაძლოა, მისი პირველი თვალსაჩინო მაგალითია.

(გაგრძელება იქნება)

## „შავი გვერდი“

# მიქაუტაძე ლილუაშვილს ქრთამის აღებასა და ბიზნესის ტერორში ადანაშაულებს!



## სკანდალი საქალაქო სასამართლოში

**თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ხმაურიანი სასამართლო პროცესი კიდევ უფრო რეზონანსული გახდა. ეკონომიკის სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსანმა რომეო მიქაუტაძემ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ყოფილი უფროსის გრიგოლ ლილუაშვილის წინააღმდეგ სკანდალური და მამხილებელი ჩვენება მისცა. პენიტენციური დაწესებულებიდან დისტანციურად ჩართულმა მსჯავრდებულმა მიქაუტაძემ, ფაქტობრივად, საკუთარი თავის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულში დაადანაშაულა და სისტემურ კორუფციაზე ალაპარაკდა.**

### სკანდალური აღიარება

**რომეო მიქაუტაძემ, რომელიც ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა, განაცხადა, რომ წლების განმავლობაში, მაღალი პოლიტიკური და თანამდებობრივი გავლენების გამოყენებით, ბიზნესსექტორის ტერორსა და ფულის გამოძალვაში მონაწილეობდა.**

მისი თქმით, ის პირადად იღებდა დავალებებს სუს-ის ექს-შეფისგან, გრიგოლ ლილუაშვილისგან. ამის შემდეგ იგი ხვდებოდა ბიზნესმენებს და □სახელმწიფო ინტერესების დაცვის□საბაბით, დიდი ოდენობით თანხებს სთხოვდა. მიქაუტაძის მტკიცებით, ბიზნესმენებისგან აკუმულირებული ეს □ქეში□მას ჩემოდნებით პირდაპირ გრიგოლ ლილუაშვილთან მიჰქონდა.

ეს განცხადება სკანდალურია იმითაც, რომ მოწმემ საკუთარი ქმედებებით აღიარა უმძიმეს დანაშაულში თანამონაწილეობა. მან ღიად განაცხადა, რომ თავადაც იყო ამ კორუფციული და დანაშაულებრივი სქემის აქტიური რგოლი.

### „ჩვენებები აბსოლუტურად თანხვედრაშია“

**ბრალდების მხარის წარმომადგენელმა, პროკურორმა მარიამ ბერძენიშვილმა დახურული სხდომის დასრულების შემდეგ დაადასტურა მიქაუტაძის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსი. პროკურორის თქმით, მოწმემ დეტალურად ისაუბრა ლილუაშვილთან პირდაპირ კავშირზე, ინსტრუქციების მიღებასა და თანხების გადაცემაზე**

**□მოწმემ განმარტა, რომ მას პირადად ჰქონდა კავშირი და ურთიერთობა გრიგოლ ლილუაშვილთან, მათ შორის იმ თანხებთან დაკავშირებით, რომელიც ბრალად არის შერაცხული. პირადად გადასცა და დავალებაც მან პირადად მიიღო, რომ წამოეღო და მოეთხოვა კონკრეტული თანხები მეწარმე პირებისგან□** – განაცხადა ბერძენიშვილმა

პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ სასამართლომ უკვე გამოკითხა ერთ-ერთი ბიზნესმენიც, რომლის ჩვენებაც სრულად ემთხვევა მიქაუტაძის ნათქვამს. ბიზნესმენმა დაადასტურა, რომ მიქაუტაძემ მას თანხა სწორედ □სახელმწიფო ინტერესების□მოტივით გამოართვა, თუმცა ბიზნესმენისთვის უცნობი იყო, საბოლოოდ ვისთან მიდიოდა ეს ფული.

### „ვაჭრობა საპროცესო შეთანხმებაზე“

**სუს-ის ყოფილი ხელმძღვანელის ადვოკატი ლანა ცერცვაძე მიქაუტაძის ჩვენებას კატეგორიულად უარყოფს და მას სამართლებრივად უსაფუძვლოს უწოდებს. დაცვის მხარის განცხადებით, საქმეში არ არსებობს არანაირი ობიექტური ან ნეიტრალური მტკიცებულება (მაგალითად, ფინანსური დოკუმენტაცია ან ჩანაწერები), რაც ქრთამის გადაცემის ფაქტს დაადასტურებდა.**

ადვოკატის შეფასებით, მიქაუტაძის მიერ საკუთარი თავის დამძიმება და აღიარება ემსახურება ერთადერთ მიზანს – საპროცესო შეთანხმების მიღწევას.

**– მსჯავრი, რაც მოწმეს აქვს დადებული, გაცილებით უფრო ნაკლები სასჯელით არის შემოფარგლული, ვიდრე ის, რაშიც იგი თავის თავს ასახელებს დღევანდელ პროცესზე. სხვა მიზანი თუ არ აქვს მის მიერ მიცემულ ჩვენებას, რატომ უნდა უღირდეს მას, რომ დაუმძიმდეს სამართლებრივად მდგომარეობა? ხედავთ იმას, რომ შესაძლოა მასთან მოლაპარაკება მიმდინარეობდეს და განხორციელდეს საპროცესო შეთანხმება, ნაცვლად იმისა, რომ ამ ეპიზოდზე ახალი ბრალი წარედგინოს,** – განაცხადა **ლანა ცერცვაძემ.**

დაცვის მხარის მოთხოვნით, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომდევნო სხდომაზე მიქაუტაძე, დისტანციურის ნაცვლად, ფიზიკურად გამოცხადდეს დარბაზში, რათა ადვოკატებმა მისი სრულფასოვანი, ჯვარედინი დაკითხვა შეძლონ.

### ვინ არიან საქმის მთავარი ფიგურანტები?

**ეს განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ საქმე ეხება არა კერძო კორუფციულ შემთხვევას, არამედ შესაძლო სისტემურ სქემას, სადაც სამთავრობო და ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნები შეთანხმებულად მოქმედებდნენ.**

**გრიგოლ ლილუაშვილი** – სუს-ის ყოფილი ხელმძღვანელი, გასული წლის დეკემბერში დააკავეს. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება). დამტკიცების შემთხვევაში, მას 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. საქმეში ასევე ფიგურირებს საზავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ყოფილი დირექტორი კახაბერ გვანცელაძეც, რომელსაც □ატკატების□ აღებასა და ლილუაშვილის მხრიდან მფარველობაში ედება ბრალი.

**რომეო მიქაუტაძე** – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც ამჟამად 10-წლიან სასჯელს იხდის. მიუხედავად იმისა, რომ მან სასამართლოში უმძიმეს დანაშაულში აღიარა მონაწილეობა, ამ კონკრეტულ ეპიზოდზე მისთვის ახალი ბრალი ჯერ არ წარუდგენიათ, რაც აძლიერებს ეჭვებს ბრალდების მხარესა და მას შორის სავარაუდო გარიგების შესახებ.

სასამართლო პროცესი გრძელდება და მომდევნო სხდომაზე, სადაც მოწმე უშუალოდ დარბაზში დაიკითხება, დაცვის მხარის შეკითხვები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს ამ სკანდალურ საქმეს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

# სუს-მა საქართველოს ხუთი და თურქეთის ერთი თაღლითი მოქალაქე დააკავა

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა სისხლის სამართლის ორ სხვადასხვა საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დიდი ოდენობით თაღლითობისა და თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინებების საფუძველზე, საქართველოს □ხუთი და თურქეთის რესპუბლიკის ერთი მოქალაქე დააკავეს,** □ამის შესახებ სუს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის □ბ□, 19.180-ე მუხლის მეორე ნაწილის □ა□და მესამე ნაწილის □ბ□ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**□ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის რესპუბლიკის ერთი მოქალაქე, რომელიც საქართველოს ოთხ მოქალაქესთან ერთად წარმოადგენდა თაღლითურ დანაშაულებრივ ჯგუფს, საქართველოში დროებით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს 14 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ ბინადრობის ნებართვის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა, თუმცა დანაპირები ვერ შეასრულა.**

**დაზარალებულს გასული ჰქონდა ქვეყანაში კანონიერად ყოფნის ვადა, რაც ცნობილი იყო დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებისთვის. შესაბამისად, მოგვიანებით, დაკავებულ ბრალდებულთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი საქართველოს მოქალაქეები თურქეთის რესპუბლიკის იმავე მოქალაქეს დაუკავშირდნენ და 3000 აშშ დოლარის სანაცვლოდ საქართველოში მისი ყოფნის კანონიერი საფუძვლის შექმნაში შეუწყვეს ხელი □კერძოდ, აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის გამოყენებით, საზღვრის რეალური კვეთის გარეშე, □პირადობის მოწმობით მგზავრობის, შემოსვლისა და გასვლის ფორმაში□ განათავსეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ორმხრივი კვეთის დამადასტურებელი ოფიციალური შტამპები.**

**რაც შეეხება სისხლის სამართლის მეორე საქმეს □გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში დროებით მყოფ თურქმენეთის რესპუბლიკის მოქალაქეს გასდიოდა ქვეყანაში კანონიერად ყოფნის ვადა, საქართველოს მოქალაქე კი 4000 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაჰპირდა მას საზღვარზე გაყვანას და შემდგომ უკან შემოყვანას ისეთი ფორმით, რომ კანონიერად გაგრძელებოდა საქართველოში ყოფნის ვადა. ბრალდებულმა ვერ შეასრულა დანაპირები, თუმცა მაინც მოითხოვა და მიიღო თანხის ნაწილი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აგრძელებს მუშაობას აღნიშნულ დანაშაულებრივ სქემაში ჩართული სხვა პირების გამოვლენისა და მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით□** □განაცხადეს სუს-ში გამართულ ბრიფინგზე.




---




# ბათუმში, საცხოვრებელ სახლში ადამიანი გარდაცვლილი იპოვეს

**ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, გვიან ღამით, ბინაში გარდაცვლილი ადამიანი იპოვეს.**

**ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ცხედარი ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს. ამ ეტაპზე უცნობია, აღენიშნებოდა თუ არა გარდაცვლილს ძალადობის კვალი.**

როგორც □პრაიმტაიმს□შინაგან საქმეთა სამინისტროში უთხრეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# კრიმინალი/დოკუმენტი

## აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი, მათ შორის 50 შეკვრა სარეალიზაციოდ დაფასოებული „მეთადონი“.

მათივე ცნობით, პოლიციის მიერ, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო მასალები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 260-ე კვარტა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.





## მასშტაბური სპეცოპერაცია საქართველოს მასშტაბით

## ნარკოდანაშაულის ბრალდებით კიდევ 135 პირია დაკავებული

**ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, დავით კიკნაძის განცხადებით, ბოლო დღეების განმავლობაში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად, ჯამში 135 პირი დააკავეს. მათ შორის 55 პირი უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციასა და სარეალიზაციო სქემებში სხვადასხვა ფორმით იყო ჩართული.**

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. უწყების ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მძიმე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავების ოპერაციები დედაქალაქის სხვადასხვა უბანსა თუ რეგიონებში ერთდროულად ჩაატარეს:

**გლდანის მე-8 მიკრორაიონი** – დადგინდა დაკავებული ერთ-ერთი ქალის ვინაობა, პოლიციამ ხელბორკილები თამარ ლაშხიას დაადო. კორპუსის მცხოვრებლები და მეზობლები აღნიშნავენ, რომ დაკავებულს პირადად ნაკლებად იცნობდნენ, თუმცა ადასტურებენ, რომ ორი დღის წინ მათ საცხოვრებელ კორპუსთან სამართალდამცველთა განსაკუთრებული მობილიზება შეინიშნებოდა. ადგილობრივების თქმით, ოპერაცია სწრაფად ჩატარდა, თუმცა პოლიციის თანამშრომელთა სიმრავლემ კორპუსში დიდი ხმაური და ინტერესი გამოიწვია.

**ლოტკინის დასახლება** – ნარკოდანაშაულის ბრალდებით, ლოტკინზე კიდევ ერთი მოქალაქე **ალბერტ კოლდარისი** აიყვანეს.

დაკავებულთა უმრავლესობა ამ ეტაპზე დუმილის უფლებით სარგებლობს, ხოლო მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები საქმის დეტალებსა და მასალებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ. სასამართლომ ყველა ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

შსს-ს ინფორმაციით, ნარკორეალიზატორები სიცოცხლისთვის საშიში და მომაკვდინებელი ნივთიერებების გასასაღებლად სხვადასხვა ფარულ მეთოდს იყენებდნენ.

**საკონტროლო შესყიდვები** – ბრალდებულების წინააღმდეგ საქმეში არსებული ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული საკონტროლო შესყიდვები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერებია. კადრებში მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ გადასცემდნენ ბრალდებული პირები მსურველებს მომაკვდინებელ ნივთიერებებს.

ამოღებული ნივთმტკიცებები – დაკავებულების, მათი ავტომობილებისა და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე სპეციალურად მითითებული ლოკაციებიდან ამოღებულია: განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები; ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული დიდი ოდენობით ნავაჭრი თანხა; უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღები.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, დავით კიკნაძის თქმით, ნარკოდანაშაულთან ბრძოლა უწყების უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა წარმოადგენს... ნებისმიერი პირი, რომელიც ჩართულია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში, ნარკოტიკების რეალიზაციასა თუ ხელშეწყობაში, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება“** – აცხადებს **დავით კიკნაძე.**

ქვეყანაში უკანონო ნივთიერებების შემოტანისა და გავრცელების აღსაკვეთად, პოლიცია სხვა შესაბამის სამართალდამცავ უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით განაგრძობს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების მაქსიმალურ დაცვასა და კონტროლს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ფმჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ვახტანგ რევაზაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვახტანგ რევაზაშვილი (პ/ნ 59001098018), გორის რაიონი, სოფელი ზერტი, მე-17 ქ. N2

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გორის რაიონი, სოფელი ზერტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით: 4500 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 66.53.05.096)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19771.75 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 17 აგვისტო, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 7 სექტემბერი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP131556026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1315560)

**8. მოვალე:** ვახტანგ რევაზაშვილი (პ/ნ 59001098018), გორის რაიონი, ს. ზერტი, მე-17 ქ. N2;
ქეთევან რევაზაშვილი (პ/ნ 24001041260), გორის რაიონი, ს. ზერტი, მე-17 ქ. N2.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ფმჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ფმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 7 სექტემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ფმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3 ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**

## საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ფმჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თენგიზ ფათალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თენგიზ ფათალიშვილი (პ/ნ 40001024197), სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევი, შოთა რუსთაველის ქ. N6

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 5000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 56.15.44.151)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 36450.88 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 17 აგვისტო, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 7 სექტემბერი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP131564926**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1315649)

**8. მოვალე:** თენგიზ ფათალიშვილი (პ/ნ 40001024197), სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევი, შოთა რუსთაველის ქ. N6.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ფმჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ფმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 7 სექტემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ფმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3 ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**



# სუპერგოლით — ოქროს ბურთისკენ!

**სიმბოლურია, რომ მე-9 ფრანგული ტიტული ხვიჩა კვარაცხელიამ ზალცბურგის რედბულ არენაზე მოიხვეჭა. ეტყობა, ამ ფაქტმა ავსტრიელი ტელეკომენტატორი ისტორიულ წიაღსვლებში გადასაშვებ ხასიათზე დააყენა და ათქმევინა: ჰიტლერის სამშობლოში სტალინის თანამემამულემ გაიბრწყინაო.**

ვერავინ იტყვის, რომ პარი სენ-ჟერმენის ეს წარმატება იოლად გამოიჭედა. არავითარ შემთხვევაში — გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ვარსკვლავები შვებულებიდან თანდათან უბრუნდებოდნენ და ოპტიმალური კონდიციების აკრეფაზე საუბარი მართლაც რომ ზედმეტია.

ხვიჩა გამონაკლისია — ორთვიანი დასვენებისა და ინდივიდუალური ვარჯიშების შემდეგ იგი ისევ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს და ტოტალურ ფეხბურთს შესაშური ერთგულებით უკმევს გუნდრუკს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვარას არნახული მოტივაცია მატებს მუხტს — სამშობლოს ისტორიაში პირველი ოქროს ბურთი მოუპოვოს! რატომაც არა? იაშინმა, ბლოხინმა, ბელანოვმა და შევჩენკომ ხომ გაახარეს სლავები!

თითქოს გაზუთხული აქვს ყველას — მუნდიალის წელს ოლიმპზე მხოლოდ მისი გამორჩეული მონაწილე ადისო. კი ბატონო, მაგრამ 1978 წელს ხომ დაამსხვრია ეს მითი ცხონებულმა **კევინ კიგანმა**?

ბოლოსდაბოლოს, ავტორიტეტულ დასავლურ გამოცემებს მოვუსმინოთ:

**„ას“** — მსოფლიოს ჩემპიონატზე კვარაცხელიას არყოფნამ ოქროს ბურთზე ხვიჩას შანსები მართალია შეამცირა, მაგრამ მისი თამაშით ნათელია, რომ ამ ჯილდოს იგი რეალურად იმსახურებს.

**„გარდიანი“** — მას არ უთამაშია ფიფას მთავარ ტურნირში, მაგრამ ეს იყო სწორედ ის საღამო, როცა უეფას ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს უნდა გაებრწყინა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავის გამოჩენა ნებისმიერ სცენაზე შეუძლია. დიახ, ეფექტურმა, შთამბეჭდავმა და ამოუცნობმა კვარაცხელიამ ფიფას გარშემო ატეხილი სკანდალისა და მოვლენილი სიბინძურის ფონზე ყველა პოლიტიკოსზე უფრო დამაჯერებლად თქვა სათქმელი.

**„ატლეტიკი“** — მართალია, კვარა დააკლდა მუნდიალს და **იქ მესიმ, ჰოლანდმა** და **მბაპემ** გაიბრწყინეს, მაგრამ მას სპექტაკლების დასადგმელად აქვს ევროსცენა და ასტონ ვილასთან მატჩით ყველას შეახსენა, თუ რა დაკარგა უიმისოდ ამერიკაში გამართულმა ფორუმმა.

**„პარიზიენი“** — კავკასიელს ევროპული საღამოები უყვარს და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. გოლის მომენტში ჩვენ მისი საოცარი ტექნიკა და დარტყმის ხარისხი დავინახეთ. მან კიდევ ერთხელ აჩვენა სამყაროს, რომ აღიარებას იმსახურებს.

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია მეტოქის თავკაცის მოსაზრებაც: **უნაი ემერი** — ოქროს ბურთს რაც შეეხება, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ, დიახ, ვფიქრობ, რომ მას ამ პრიზის მოგება შეუძლია.

დაბოლოს — თვით მოკრძალებული და ბედნიერი **ხვიჩა კვარაცხელია**: სასიამოვნოა, როცა ასეთ პრესტიჟულ ჯილდოსთან გაკავშირებენ, თუმცა, ჩვენ გუნდში არაერთი ფეხბურთელია მისი ღირსი. ზოგი ამბობს, რომ ოქროს ბურთს მეც ვიმსახურებ, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება.

**პარი სენ-ჟერმენი — ასტონ ვილა 2:1**

**პირველი ტაიმი 1:1**

**გოლები:** კვარაცხელია (მე-20 წთ), მაჯო (45-ე წთ), დუე (61-ე წთ).

# ხმაურიანად დავხურეთ

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებმა სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სერიის დასკვნით მატჩში ირლანდია 39:29 დაამარცხა. **გიორგი ნემსაძის** შეგირდებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და წარმატებასაც დამსახურებულად მიაღწიეს.

სტელენბერგის უმაღლესი სკოლის მოედანზე ჩვენი გუნდი სრულ უპირატესობას ფლობდა და ანგარიში მე-3 წუთზევე გახსნა: გიორგი სუთიაშვილის ხაზის გაჭრის შემდეგ ფაზები ავკინძეთ და საბა გიორგიძის ლელო ლუკა ჭაკუამ გარდასახა.სამიოდე წუთში გიორგი ხონელიძის გაჭრის შემდეგ კიდევ ერთი სალელოვე შანსი გვქონდა, რომელიც დავით ახვლედიანმა გააგრძელა, მაგრამ ის მეტოქემ ჯარიმის ხარჯზე შეაჩერა.

მეორე ტაიმი ჩვენი შეტევით დაიწყო, და ბურთი ხაზზე კარგად გავათამაშეთ, მაგრამ ის მეტოქემ ლელოში ჩაგვიხურა. შემდეგ ეპიზოდში დერეფნიდან კარგი მოლი ავაგორეთ, რომელსაც გამყრელიძე მოწყდა და ლელო გაიტანა, ჭაკუამ კი გარდასახა. ირლანდიამ ფეხით გადაკიდების შემდეგ ლელოთი სწრაფადვე გვიპასუხა, მაგრამ იქვე მოწინააღმდეგე მოლით დავძარით და საბა მერებაშვილმა ლელო მიითვალა.

რადგან გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, შემდეგ ეპიზოდებში ჯარიმები კარში დავარტყით და გაშვებული ლელოს მიუხედავად 39:29 გავიმარჯვეთ.

**საქართველო**

**ხაზი:** 15. ლუკა ჭაკუა, 14. ალექსანდრე



პირველი 20 წუთი ფაქტობრივად სულ შეტევაში გავატარეთ, მაგრამ ჯარიმის გათამაშების შემდეგ ლელო აქეთ მივიღეთ. მალევე მეტოქის 5-მეტრიანში ბურთი დერეფანში ვერ მოვიგეთ, თუმცა იქვე მას ალექსანდრე გამყრელიძე დაეუფლა და ლელო გაიტანა. თამაში რომ განახლდა კონტრშეტევაზე კიდევ ერთი ლელო გავუშვით, 30-ე წუთზე კი მეტოქის შეცდომის შემდეგ სწრაფად გადავერთეთ შეტევაში, გამყრელიძემ ხაზი გაჭრა და მისი ოფლოუდის შემდეგ გიორგი ბერძენიშვილმა ლელო გაიტანა, რომელიც ჭაკუამ გარდასახა. ტაიმის ბოლოს ირლანდიამ წონასწორობის აღდგენა მოახერხა — 19:19.

მამაიაშვილი, 13. დავით ახვლედიანი, 12. მიხეილ მგალობლიშვილი, 11. რეზი ცხვედიანი, 10. მათე მახარაძე, 9. გიორგი ხონელიძე;

**შერკინება:** 1. ლუკა ბარბაქაძე, 2. ალექსანდრე გამყრელიძე, 3. იაგო ღუდუშაური, 4. საბა გიორგიძე, 5. ნიკოლოზ ხარებავა, 6. გიორგი ქევანიშვილი, 7. გიორგი სუთიაშვილი, 8. მათე ბერუაშვილი (კაპ.).

**მარქაფა:** 16. საბა ჯიბღაშვილი, 17. საბა მერებაშვილი, 18. გიორგი ბერძენიშვილი, 19. ნიკოლოზ ფანცულაია, 20. ნიკა ჯანგულაშვილი; 21. ალექსანდრე გაგუა, 22. ნიკოლოზ ჩაჩანიძე, 23. გოგა ბერიძე; 24. ბართლომე ხამაშურიძე 25. ლუკა მუშკუდიანი, 26. ლუკა შულაია.



# ფართო სპექტრით

**მოახლოვდა საკალათბურთო მუნდიალი — 2027-ის (ყატარი) მეორე შესარჩევი ეტაპი, რომლის აგვისტოს ფანჯრის შეხვედრებსაც საქართველოს ეროვნული ნაკრები 28-ში შინ მონტენეგროსთან და 31-ში სტუმრად, პორტუგალიასთან გამართავს, ხოლო მანამდე თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სპარინგებში ლიბანს (დახურული მატჩი) და ისრაელს უმასპინძლებს.**

ზაფხულის ცხელ ფინიშამდე ჯვაროსნები **ალექსანდრ ჯიკიჩის** თავკაცობით სამშობლოში სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ, ჩამოთვლილი 15-ეულიდან კი 3 ზედმეტი უკანასკნელ მომენტში დატოვებს მოსამზადებელ ბანაკს:

**რიდი, ანდრონიკაშვილი, ოჩხიკიძე, სანაძე, კობახიძე, ჯინჭარაძე, ფევაძე, მამუკელაშვილი, შენგელია, ბურჯანაძე, კორსანტია, მერკვილაძე, ტურძილაძე, ისიანი, ბითაძე.**

რაც შეეხება პირველ ნაყოფიერ დღეს, მწვრთნელმა შეგირდებს სტანდარტულ ვარჯიშებთან ერთად კონკრეტული კომბინაციები დაამუშავებინა, რაც გასაკვირი სულაც არაა, რადგან წინა მატჩებისგან განსხვავებით გუნდის ბირთვი არათუ უცვლელი, არამედ გაძლიერებულია „მამუს“ დამატებით.

სანდროსთან დაკავშირებით დავძენთ, რომ მისი ახალი კლუბი ლოს ანჯელეს ლეიკერსი სპორტული თვალსაზრისით ისტორიაში სარეკორდო ფასად — 12,5 მილიარდ დოლარად გაიყიდა და იგი ბიზნესმენებმა **ჯოშ კუშნერმა** და **ბობ აიგერმა** შეიძინეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ კალიფორნიულ გრანდთან მნიშვნელოვანი კარიერული კონტრაქტის გაფორმება დაემთხვა ჩვენებურთა პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის დასკვნით შეხვედრებს, რის გამოც ერთ-ერთი ლიდერი პარტნიორებს ვერ დაეხმარა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმავე პერიოდში გუნდის კაპიტანი **თორნიკე შენგელია** ბარსელონადან დუბაიში გადაბარგდა, ნაკრების მესაჭის ასისტენტის **მანუჩარ მარკოიშვილის** სადამრიგებლო მონაკოს ირგვლივ განვითარებულ პრობლემურ მოვლენებზე კი ახლა ვისაუბრებთ.

მოკლედ, საქმე ისე წავიდა, რომ როგორც მოთამაშეების, ისე სხვადასხვა ტურნირისა თუ ორგანიზაციის წინაშე არსებული კვლავაც გადაუჭრელი დავალიანებების საკითხის გამო მონეგასკები ევროლიგიდან ევროთასზე დააქვეითეს და საფრანგეთის ჩემპიონატიდან მოკვეთაც ემუქრებათ.

კრიტიკულ ვითარებაში მონტეკარლოელებს მაშველ რგოლად ლეგენდარული **რონალდინიო** მოევლინა, რომელიც ანდორულ საინვესტიციო ფონდ „კლეიტონ სპორტთან“ ერთად მზადაა გუნდის შესაძენად და მიმდინარე ფინანსური მოთხოვნების შესასრულებლად. საუბარია ევროლიგის წინაშე არსებული 2,5 მილიონი ევროს ოდენობის დავალიანების დაფარვასა და 12,5-მილიონიანი ბიუჯეტის ფარგლებში კონტროლისა და მართვის ეროვნული სამმართველოსთვის 5 მილიონი ევროს საბანკო გარანტიის წარდგენაზე.

მონაკომ საფრანგეთის ეროვნულ ოლიმპიურ და სპორტულ კომიტეტს 19 აგვისტომდე უნდა მიმართოს.

**დაბოლოს** — ისევ საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეთ და მისი პირველი მეტოქის ხელმძღვანელს **ზვეზდან მიტროვიჩს** მოვუსმინოთ: **„მეორე ჯგუფური რაუნდი ბევრად უფრო რთულია, რადგან უკეთესი და ძლიერი გუნდები გვყავს მეტოქეებად. ქართველთა დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ თითოეულ დეტალზე ყველა მყისიერად რეაგირებს. ისინი კლუბიდან ნაკრების მატჩზე ზოგჯერ ჩარტერული რეისითაც კი მიფრინავენ, რომ თამაშს ჩაასწრონ, რაც მათ პროფესიონალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს: ამერიკაში მოთამაშე მონტენეგროელთა არყოფნაში საქართველო წყვილის აბსოლუტურად გამოკვეთილი ფავორიტია, თუმცა, მოდით მუშაობა დავიწყოთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ“.**

სულთათანა

# ბადრი ვადაჭკორია – ფოტომემატიანის ღირსეული ნაღვაწი

### ბიძინა და ეკატერინა ივანიშვილები:

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის ბადრი ვადაჭკორიას გარდაცვალების გამო, □ამის შესახებ ნათქვამია **ბიძინა** და **ეკატერინა ივანიშვილების** სამძიმრის წერილში.

ბატონი ბადრი იყო ღირსეული და კეთილშობილი პიროვნება. გარდა ამისა, იგი ქართული ჟურნალისტიკისა და ფოტოგრაფიის მემატიანეც იყო □მის ობიექტივს არაერთი ისტორიული მოვლენა აქვს აღბეჭდილი და მომავალი თაობისთვის შემონახული.

ბადრი ვადაჭკორიასთან დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. გულითადად ვუსამძიმრებთ ბატონი ბადრის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებსა და კოლეგებს ამ დიდი დანაკარგის გამო.

### ირაკლი კობახიძე:

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი ფოტოგრაფის ბადრი ვადაჭკორიას გარდაცვალების გამო.

ბადრი ვადაჭკორიამ თავისი მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ფოტოჟურნალისტიკაში. მის ობიექტივში მოხვედრილი არაერთი მნიშვნელოვანი კადრი ქართული ფოტომატიანის განუყოფელ ნაწილად დარჩება. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

### მიხეილ ყაველაშვილი:

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის ბადრი ვადაჭკორიას გარდაცვალების გამო.

მისმა გამორჩეულმა ხედვამ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი შემოგვინახა და ჩვენი დროის ვიზუალური მეხსიერების ნაწილად აქცია. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს. ნათელი მის ხსოვნას.

### შალვა პაპუაშვილი:

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გამორჩეული ქართველი ფოტოგრაფის ბადრი ვადაჭკორიას გარდაცვალების გამო.

ბადრი ვადაჭკორიამ თავისი მრავალწლიანი და ნაყოფიერი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ფოტოჟურნალისტიკაში. მისმა ობიექტივმა შემოგვინახა არაერთი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. ვუსამძიმრებ ბადრი ვადაჭკორიას ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

### კახა კალაძე:

თბილისზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ბადრი ვადაჭკორია გამოაკლდა ჩვენს ქალაქს.

მისთვის თბილისი მუდმივი თავგადასავალი იყო, რომლის ქუჩებშიც დაუღალავად მოგზაურობდა და ფოტოკადრებში აღბეჭდავდა თბილისის მაჯისცემას.

ვიზიარებ ბადრი ვადაჭკორიას ოჯახის წევრების, მისი მეგობრების და ახლობლების დიდ გულისტკივილს.



## დიდი ფოტოხელოვანი

არსებობენ ადამიანები, რომელთა სახელი და გვარი იმგვარ საყოველთაობას იძენს, რომ სრულიად საქართველოსთვის ერთნაირად მახლობელი ხდება. ბადრი ვადაჭკორია ერთ-ერთი მათგანია.

საქართველოში, ალბათ არც მოიძებნება ადამიანი, ვისაც მისი რომელიმე ფოტო არ ენახოს და გაკვირვებულს და აღტაცებულს არ წარმოეთქვას – დიდებულია!

ბადრი ვადაჭკორია გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა ქართულ ჟურნალისტიკაში. მან ფოტოგრაფიის მიმართულება აირჩია და მისი სახელი ქართულ პრესასა და ტელევიზიას სამუდამოდ დაუკავშირდა. გასული საუკუნის 90-იანებში მისი ნამუშევრები ასახავს ეროვნული მოძრაობის აზვირთებას და მთელ იმ ბატალიებს, რაც იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში დუღდა. ბადრი ვადაჭკორია თანამედროვე საქართველოს, თავისი საქართველოს მემატიანედ იქცა...

მოგვიანებით იგი დიპლომატიურ სამსახურშია, თურქეთის საელჩოში. შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აკრედიტებული ჟურნალისტია. 2000-იან წლებში კი აქტიურად იწყებს ფოტოალბომების გამოცემას. მან უნიკალური ოცტომეული გამოსცა, სადაც მთელი საქართველო ჩანს, მისი ისტორიით, სულით, უკვდავი ძეგლებით, განუმეორებელი სილამაზითა და ესთეტიკით.

მისი ცხოვრების განსაკუთრებული ფურცელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გვერდით გატარებული წლები, როდესაც იგი ფოტოგრაფიული სიმართლითა და სიზუსტით აღწერდა და აღნუსხავდა უწმინდესისა და უნეტარესის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის საგარეო ვიზიტებს.

უკვე მძიმედ ავადმყოფი ბადრი ვადაჭკორია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შიო მესამის აღსაყდრების ცერემონიალს დაესწრო და ბოლო ოფიციალური კადრები სწორედ იქ გადაიღო. ამით დასრულდა მისი მოღვაწეობა, როგორც საქართველოს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ფოტომემატიანისა.

ბადრი ვადაჭკორიამ თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა და მის რამდენიმემილიონიან არქივში უნიკალური ფოტოკადრები შემოინახა, რაც საქართველოს სიმდიდრეა. მთელი ამ წლების განმავლობაში დამოუკიდებელ საქართველოს ვინმე მაღალი რანგის სტუმარი თუ სწვევია (პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და სხვ.) საჩუქრად ყველას ბადრი ვადაჭკორიას უნიკალური ფოტოალბომი მიჰქონდა. ეს საქართველოს პოპულარიზაცია იყო. ბადრის დევიზად ვაჟა-ფშაველას ცნობილი სიტყვები ჰქონდა აღებული და ხშირად იმეორებდა: ჩემი ნამუშევრებით მსურს, ქართველებს საქართველო შევაყვარო! ვფიქრობთ, რომ მან საქართველო მრავალ უცხოელსაც შეაყვარა, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილს მაინც, ვისაც მის ულამაზეს ნამუშევრებთან შეხება ჰქონია.

საქართველოს უხუცესთა საბჭოს სრული შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება ბადრი ვადაჭკორიას გარდაცვალებას და უზენაესს შესთხოვს მისი სულის ნათელში დამკვიდრებას.

საქართველოს უხუცესთა საბჭოს სახელით,

**ფრიდონ ინჯია**

## დიდებული ბადრიც წავიდა...

ერთი მეგობარიც შეემატა ზეციურ სამეგობროს...

ბედნიერება იყო ნამდვილად ბადრისთან მეგობრობაც და თანამშრომლობაც...

გიორგუნას მეძახდა და ხუმრობითა და სიყვარულით ბადრიკუნა შევარქვი მეც...

„ქართული ფოტოგრაფიის“ სერიის ბეჭდვისას ერთ-ერთი პირველი ბადრი იყო, ვისი ალბომიც დაიბეჭდა და ლამაზი პრეზენტაციითაც გავუხარეთ გული...

მისი ალბომები, ფოტოები და ვთქვათ პირდაპირ – დიდებული ფოტოები დარჩება ისტორიას და მომავალ თაობებს...

უხაროდა, სხვანაირად დაგიდგებით გვერდშიო – გამგეობის წევრი იყო და სექტემბერში ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრადაც უნდა აგვერჩია...

მშვიდად ვგეგმავდით სამომავლო პროექტებსაც...

ახლა კი...

სამიოდე დღის წინათ ვისაუბრეთ...

ორივემ ვიცოდით მისი ავადმყოფობის ამბავი და მაინც ერთმანეთს ვაიმედებდით...

ეეეჰჰჰ...

ქართულმა ჟურნალისტურმა ოჯახმა დიდი ადამიანი დაკარგა დღეს...

ბადრი ვადაჭკორიას გაუმარჯოს ზეციურ საქართველოში!

მშვიდობით, დიდო კაცო და ჩემი და ჩემი ოჯახის უმაგრესო მეგობარო!

ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და ჟურნალისტური ოჯახის სახელით ვუსამძიმრებთ ბადრის ოჯახსა და სრულიად საქართველოს!

**გიორგი მამაცაშვილი**

## დიდოსტატის «შუქით დაწერილი» ალბომებიდან...


გელათი


მწყემსი ხევსურეთის გზაზე


ირმები შაქვეთილში



## ზაქარია ფალიაშვილი 155

**155 წელი შესრულდა დიდი ქართველი კომპოზიტორის, დირიჟორის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან,** □ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია.

სებ-ის ცნობით, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მუსიკაც სწორედ მისი ცნობილი ოპერის □□დაისის□მიხედვითაა შექმნილი.

100-ლარიანი ბანკნოტის უკანა მხარეს კი გამოსახულია თბილისი **Opera and Ballet State Theatre**, რომელიც 1937 წლიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს □წერია ინფორმაციაში.

# ბროწეულის ყვავილივით მშვენიერი მარიტა გურჯაანში

**პორტუგალიელმა მხატვარმა მარიანა დუარტე სანტოსმა გურჯაანში ლიკა ქავჟარაძის პერსონაჟი □მარიტა შექმნა.**

დიახ, გურჯაანში შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ნამუშევარი, რომლის ავტორიც პორტუგალიელი მხატვარი **მარიანა დუარტე სანტოსია**, – ინფორმაციას **გოგა ჩანადირი** ავრცელებს.

**□სულ ახალთახალი მოხატულობაა გურჯაანში, თამარ მეფისა და გურამიშვილის კუთხეში.**

**ლიკა ქავჟარაძის გმირი მარიტაა (თენგიზ აბულაძის ფილმიდან □ნატვრის ხე□) გამოსახული კედელზე, რომლის ავტორიც პორტუგალიელი მხატვარი მარიანა დუარტე სანტოსია. როგორც გავარკვიე, ნახატი გურჯაანის მერიის ხელშეწყობითა და tbilisimuralfest-ის მხარდაჭერით შეიქმნა.**

**საერთოდაც, გურჯაანი კედლის მხატვრობისა და საჯარო ხელოვნების ნიმუშებით გამორჩეული ქალაქი ხდება და მადლობა მათ ამისთვის□ □წერს გოგა ჩანადირი.**

მანამდე ინფორმაცია Georgia MURAL Fest-ma გამოაქვეყნა.

„გურჯაანი 2026 □„MARITA“. მოხარულები ვართ, გაგიზიაროთ გურჯაანში შექმნილი კიდევ ერთი ახალი ნამუშევარი, რომლის ავტორიც განსაკუთრებული პორტუგალიელი მხატვარი მარიანა დუარტე სანტოსია. მარიანამ გადაწყვიტა, ყველასთვის საყვარელი მსახიობი ლიკა ქავჟარაძის პერსონაჟი მარიტა დაეხატა, თენგიზ აბულაძის ფილმიდან □ნატვრის ხე□

**მხატვარი ამ ნამუშევრით საქართველოს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას ეხმიანება და ამავდროულად ქმნის დიალოგს გურჯაანის ლანდშაფთთან. ეს კონკრეტული სცენა ზუსტად ალაზანშია გადაღებული.**



# მწერალ გიგი ხორნაულის იუბილე მშობლიურ სოფელში



**12 აგვისტოს მწერალი, მკვლევარი, მონადირე, მეფუტკრე და, უბრალოდ, კარგი არაგველი □გიგი ხორნაული 90 წლის გახდა. ინფორმაციას დუშეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრი ავრცელებს.**

უფროს მეგობარს სიბრძნის ასაკი მიულოცეს კაწალხევში □ბარისახოდან, დუშეთიდან და თბილისიდან ჩასულმა მეგობრებმა, ახლობლებმა, მკითხველებმა.□

# ჩხუტუნეთის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ექსპედიცია მიმდინარეობს



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ჩხუტუნეთის ციხის ტერიტორიაზე საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია მიმდინარეობს. ექსპედიცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და აშშ-ს სიეტლის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია.**

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ინფორმაციით, პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს, აშშ-ს, კანადის, მექსიკისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები.

**□პროექტის მიზანია ჩხუტუნეთის ციხესიმაგრის არქეოლოგიური კვლევა, მისი როლისა და ფუნქციადანიშნულების განსაზღვრა. ამ დროისათვის, ექსპედიციის ფარგლებში მოხდა ციხესიმაგრის შიდა სივრცის, მათ შორის, კოშკის შიდა ტერიტორიისა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის ჩამოშლილ კონსტრუქციათა შესწავლა.**

**პარალელურად, ციხის ჩრდილოეთით, გაიწმინდა გასულ წლებში აღმოჩენილი რვა ქვევრიც, რომელთა მიმდებარედ მიკვლეულ იქნა კიდევ ოთხი. ასევე, ტერიტორიის დაზვერვის შედეგად, ჩხუტუნეთის ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე მაჭახელას პირას, აღმოჩნდა შუა საუკუნეების თაღიანი ხიდის მარცხენა ბურჯის ნაშთები.**

**არქეოლოგიური სამუშაოები 25 ივლისს დაიწყო და 22 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.**

**პროექტის მხარდამჭერია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია□** □აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ჩინეთში მატარებელმა 800 კმ/სთ სიჩქარეს მიაღწია!

**ჩინელმა მკვლევრებმა ექსპერიმენტული მაგნიტური ლევიტაციის მატარებელი ადგილიდან 800 კილომეტრ/საათ სიჩქარემდე სულ რაღაც 5,3 წამშიააჩქარეს და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.**



როგორც **Der Standard** წერს, ექსპერიმენტი ცენტრალურ ჩინეთში, ხუბეის პროვინციაში მდებარე ერთკილომეტრიან საცდელ პოლიგონზე ჩატარდა. 1,1-ტონიანმა მატარებელმა მაქსიმალურ სიჩქარეს დაახლოებით 600 მეტრის გავლის შემდეგ მიაღწია, რის შემდეგაც ტრასის ბოლოს უსაფრთხოდ გაჩერდა. ჩინური სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ეს ლაბორატორიის მიერ დამყარებული სიჩქარის უკვე მესამე რეკორდია: 2025 წლის ივნისში მატარებელი 650 კმ/სთ-მდე ააჩქარეს, ხოლო ივლისში □ 700 კმ/სთ-მდე.

მაგნიტური ლევიტაციის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ სატრანსპორტო საშუალების თვლები რელსებს არ ეხება. ძლიერი მაგნიტური ველები მატარებელს მიმმართველი რელსის ზემოთ ჰაერში აჩერებს, ხოლო აჩქარება ასევე ელექტრომაგნიტური ძალებით ხორციელდება. ვინაიდან თვლისა და რელსის ტრადიციული შეხება არ არსებობს, გორვის წინააღმდეგობა ქრება, თუმცა მაღალ სიჩქარეებზე ჰაერის წინააღმდეგობა მაინც სერიოზულ დაბრკოლებად რჩება. ჯერჯერობით მატარებელი მგზავრებს არ გადაიყვანს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაზელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 აგვისტოს**